

## თავი I. გელათის აკადემია – შუა საუკუნეების საგანმანათლებლო კერა – „სასწავლებელი ყრმათათჳს“

### 1. ბიზანტია და „ელინოფილიზმი“ ქართული თარგმანის ისტორიაში (მსოფლმხედველობრივი მიმართულება და სააზროვნო ინტერესები)

„ელინოფილური“ მიმართულების ზუსტმა, ადეკვატურმა თარგმანმა, რომელსაც სათავე დაედო შავი მთის ფილოლოგიურ-მნიგნობრულ სკოლაში, მთარგმნელობითი მეთოდისა და ენობრივი სტილის თვალსაზრისით, გამოკვეთილი და დასრულებული სახე მიიღო საქართველოში, იყალთო-გელათის აკადემიაში. აქ შექმნილი საკმაოდ დიდი რაოდენობის ლიტერატურა შესრულებულია „ათონური“ თარგმანის სტილისაგან სრულიად განსხვავებული, ე.წ. „ულტრა ელინოფილური“ ენობრივი სტილითა და მეთოდით.

ამ სტილისთვის ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო სახელწოდება „**პეტრინონული**“ რაც, ძირითადად, იოანე პეტრინის ენობრივ სტილსა და გელათში შექმნილ ლიტერატურულ მემკვიდრეობას გულისხმობდა (დღესაც, ზოგ შემთხვევაში ეს ტრადიცია გრძელდება). მაგრამ ჩვენ არა გვაქვს სათანადო მასალა იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ პეტრინონში შექმნილ ლიტერატურულ პროდუქციაზე, მის ხასიათზე, მთარგმნელობით მეთოდზე, მისი ენისა და სტილის თავისებურებებზე, რადგანაც, სამწუხაროდ, პეტრინონიდან ჩვენამდე არაფერი მოღწეულა გარდა „პეტრინონის ტიპიკონისა“, რომელიც „ათონური“ სალიტერატურო სტილითაა შესრულებული [შანიძე ა., *„ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“*. 1971: 61-146]. ამიტომ საფიქრებელია, რომ პეტრინონის სკოლა დამცველი უნდა ყოფილიყო იმ ენობრივი სტილისა, რომელიც წარმოდგენილია გიორგი მთაწმიდლისა და თეოფილე ხუცესმონაზონის ნაშრომებში და, რომელმაც დასრულებული სახე მიიღო ეფრემ მცირისა და მისი თანამოღვაწეების – „ძალ-მნეთა და ჴელისალმპყრობელთა“ ძალისხმევით. ამ საკითხზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილა ივანე ლოლაშვილმა [იხ. მისი იოანე პეტრინი, „სათნოებათა კიბე“, 1967: 44 და შმდგ.]. იგი სამართლიანად სვამდა საკითხს ორი სხვადასხვა შინაარსის ცნების გამიჯვნისა – „პეტრინონულისა“ (რაც პეტრინონის მონასტერთანაა დაკავშირებული) და „პეტრინულისა“ (რაც იოანე პეტრინის ზედწოდების ეტიმოლოგიასთანაა დაკავშირებული და იოანე „საღმრთო ფილოსოფოსისა და ჴორციელად გრამატიკოსის ენობრივ სტილს გულისხმობს): „... უნდა დაზუსტდეს ცნებები: „პეტრინონული სალიტერატურო სკოლა“ და „პეტრინონული სტილი“. დღეს ამ ცნებებში გულისხმობენ იმ სალიტერატურო სკოლასა და სამწერლო სტილს, რომელიც დაკავშირებულია იოანე ფილოსოფოსის სახელთან. პეტრინის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მემკვიდრეობა შეიქმნა ...ძირითადად გელათის აკადემიაში. ამიტომ ზემოაღნიშნულ ცნებებს უნდა

შევარქვათ მათი ადეკვატური სახელები – „პეტრინის სალიტერატურო სკოლა“ და „პეტრინული სტილი“ [ლოლაშვილი ი., იოანე პეტრინი-ჭიმჭიმელი, 1968: 52]; მაგრამ ივანე ლოლაშვილის შემოთავაზებული „**პეტრინული სტილიც**“ ვერ ასახავს სინამდვილეს, რადგანაც გელათური ენობრივ-ლიტერატურული სტილი იოანე პეტრინთან ერთად დიდწილად არსენ იყალთოელისა და მისი ჯგუფის შემოქმედების ნაყოფიცაა და გელათის სამონასტრო სკოლასთანაა დაკავშირებული [იხ. აქვე, თ. V, გელათური ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალობის საკითხი]: ამიტომ, სანამ არ აღმოჩნდება თვით პეტრინონის მონასტერში თარგმნილი ქართული მასალა, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი „პეტრინონული“ ენობრივი სტილის გამოყოფისა და მთარგმნელობითს მეთოდზე მსჯელობისა (გადმოცემით, I მსოფლიო ომის დროს პეტრინონიდან რილის მონასტერში გადანახული ქართული ხელნაწერები უკან დაბრუნებისას დაკარგულა). რადგანაც გელათური ენობრივ-ლიტერატურული სტილი იოანე პეტრინთან ერთად დიდწილად არსენ იყალთოელისა და მისი ჯგუფის შემოქმედების ნაყოფიცაა. ამიტომ, სანამ არ აღმოჩნდება პეტრინონში თარგმნილი ქართული მასალა, ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ „პეტრინონულ“ ენობრივ სტილსა და მთარგმნელობითს მეთოდზე [პეტრინონის მონასტერთან დაკავშირებით ახალი მასალა იხ. თ. ფარჩუკიძე, 2018: 2019]. ამასთანავე, საგულისხმოა შავი მთის ქართველ მოღვაწეებთან პეტრინონის მონასტრის კონტაქტების დამადასტურებელი ცნობა, რომელიც ახლავს ნიკიტა სტიტატის დოგმატური კრებულის არსენ იყალთოელისეულ თარგმანს: „*ლოცვა-ყავთ, მამანო და ძმანო, არსენისთვის თარგმანისა და დავითისთვის პეტრინონელისა, მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გარდმოუქართულეებიან ესე თავნი სომეხთა განმაქიქებლნი. საუკუნომცა არს წსენებაჲ არსენისი*“ [S-1463, 264v, XII-XIII საუკ.] დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ დავით პეტრინონელი XI სკ.-ის 80-იან წლებში **შავ მთაზე** მოღვაწე არსენ იყალთოელს უკვეთავს ნიკიტა სტიტატს „სომეხთა განმაქიქებელი“ ხუთი სიტყვის თარგმნას, რაც, ვფიქრობთ მხარს უჭერს ივ. ლოლაშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ამ პერიოდში, 1082-6 წლებში პეტრინონში არ უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი პირობები სამწერლო-სამეცნიერო მუშაობისათვის, საომარი მდგომარეობის გამო: 1086 წელს ფილიპოპოლში სხვადასხვა ჯურის ერეტიკოს მოაჯანყეთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა გრიგოლ ბაკურიანის-ძე, რომელიც მეთაურობდა ალექსი კომნენოსის ლაშქარს, და ამის შემდეგაც ბრძოლები ფილიპოპოლში ხან მინელდებოდა, ხან ძლიერდებოდა. მართალია, პეტრინონის მონასტერი ქართული კულტურული კერა იყო, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ რაც გელათში შეიქმნა, იმას პეტრინონის მონასტერს მივანერთო“ [ლოლაშვილი, 1968: 51-52].

სამაგიეროდ, ჩვენს ხელთაა დიდძალი ბიბლიოლოგიური, ეგზეგეტიკური თუ დოგმატიკური და კანონიკური, ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ ისტორიული ხასიათის ლიტერატურა, რომელიც შესრულებულია გელათის

სამონასტრო ფილოლოგიურ სკოლაში – ამ სკოლის მთარგმნელობითი მე-  
თოდითა და ენობრივ-ლიტერატურული სტილით და უკავშირდება იოანე  
პეტრინის სახელს.

\* \* \*

„*ვნატრი ელადსა, თვთ მას გელათსა!*“ – გელათის, როგორც ქართველთა  
განმანათლებელი კერის ელადასთან შეწყვილება მხოლოდ რითმის გასამარ-  
თავად როდი დასჭირდა „აბდულმესიანის“ ავტორს; იაკობ გოგებაშვილის  
მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიაც – „გენათი“ ბერძნული სიტყვაა და  
ნიშნავს „დაბადებასო“: „*ამ მონასტერს ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ  
იგი აშენებულია ღვთისმშობლის მარიამის სახელობაზედ,*“ – არ უნდა იყოს  
მონასტრის ძველი სახელწოდების – „გენათი // გაენათი“ – ბერძნულთან  
მხოლოდ ბგერითი მსგავსებით ნაკარნახევი. იგი უნდა მომდინარეობდეს  
იმ დიდი ტრადიციიდან, რომელიც გელათის სამონასტრო თეოლოგიურ-  
ფილოლოგიურ სკოლას აკავშირებდა იმდროინდელი ბიზანტიის კულტუ-  
რულ-მეცნიერულ სამყაროსთან. ამ მონასტრის სახელწოდების ბერძნულის  
მეშვეობით ახსნა უნდა ასახავდეს იმ ელინოფილურ ტენდენციას, რომე-  
ლიც მასთან არსებული სკოლის ლიტერატურულსა და სააზროვნო ინტე-  
რესებს განსაზღვრავდა.

ყოველივე ეს კარგად იცოდა მე-18 საუკუნის გამოჩენილმა მოღვაწემ,  
ქართული მეცნიერული აზრის აღორძინების მოთავემ, ანტონ კათალიკოს-  
მა, ამიტომაც ახასიათებდა იგი გელათის სკოლის დიდი ბურჯის, იოანე  
პეტრინის მოღვაწეობას შემდეგი სიტყვებით:

„*შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,  
შენ სტოიკებრნი სიტყვთ სპეკალ-მინანი,  
შენ პერიპატოთ ცნობანი სალხინანი  
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი.*“

მაგრამ არსებობს **გელათის** სახელწოდების განსხვავებული, საკმაოდ  
დამაჯერებელად არგუმენტირებული ეტიმოლოგიაც, რომელიც ახსნილი  
აქვს ნ. მახარაძეს იოსიპოს ფლავიოსის „*იუდაებრივი დასაბამსიტყუაობის*“  
ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით: „*იერუსალიმის მეორე კედელი იწყე-  
ბოდა პირველი კედლის იმ კარიბჭესთან, რომელსაც „გენნათს“ უწოდებენო  
(Γενναθ ἐκάλου), ხოლო გენათის კარიბჭეს „დავითის ქალაქში“ შევყავდით,  
სადაც დავითის გოდოლი იყო აღმართული...*“ დამაჯერებელია ამ ეტიმო-  
ლოგიის ავტორის მიერ ებრაულ-არამეული gen-eden-იდან („ედემის ბაღი“-  
„*სამოთხე საშუებელი*“: დაბ. 2,15) მომდინარე იმ ვარიანტული სიტყრელის  
ახსნაც, რომელიც ქართულ სინამდვილეში არსებობს: *გაენათი, გენათი,  
გელათი...* [ვრცლად იხ. მახარაძე, „*საიდან მომდინარეობს სახელწოდება  
„გელათი*“, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 4, 1995: 5-15].

როგორც ხელნაწერთა მინაწერები გვაუწყებენ, გელათის მშენებლობა წმ. დავით აღმაშენებელს 1106 წლის მახლობლად დაუწყია. როგორც ეს მისივე ანდერძიდან ჩანს, იგი მეფეს თავის სიცოცხლეში ვერ დაუსრულებია, რის გამოც გულისტკივილით წერს თავის ანდერძში: „ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შევილთა ჩემთაჲ უსრულად და წარმყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო – ან შევილმან ჩემმან, მეფემან დიმიტრი სრულ-ჰყოს ყოვლითურთ...“ [„ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებელისა“, საბინინი, 1882: 64-65], მაგრამ გელათის მონასტერი დავით მეფის სიცოცხლეშივე იქცა „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა... /ხოლო სახელი მისი – გელათი / [დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, 1955: 330-331].

დავითის ისტორიკოსის მიერ ამ ორი ქალაქის – ათენისა და იერუსალიმის, ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რწმენის ამ ორი სიმბოლოს, დაკავშირებას საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროსათვის დამახასიათებელი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა: სწორედ გელათში ჩაეყარა საფუძველი ანტიკური ფილოსოფიისა და ბიზანტიური ნეოპლატონიზმის შესწავლას; ნეოპლატონიკოსთაგან კომენტირებული და წმ. იოანე დამასკელის მიერ დამუშავებული არისტოტელეს ლოგიკის, ელინთა ფილოსოფიური ენის გამოყენებას ქრისტიანული მსოფლმხედველობის დასაბუთებისათვის.

მემატიანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა, ჯერ კიდევ მთავარი ტაძრის დასრულებამდე „მუნვე შემოკრიბნა კაცნი, პატრიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადა ესმა ვიეთმე სინმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჳორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძი(ვ)ნა და კეთილად გამოიძი(ვ)ნა და მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“ [ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის გამოც., 1955:330]. „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხის აშიაზე სულხან-საბა ორბელიანის მინაწერის მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო „ქრისტეს აქათ ქკს „ჩრიდწელს“ „[ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი, 1955: 334].

დავით მეფის მიერ აქ მოწვეული სწავლულნი უნაყოფიერეს მოღვაწეობას ეწეოდნენ ბიბლიოლოგიის, თეოლოგიის, ფილოსოფიის, რიტორიკის, ფილოლოგიის, ბუნებისმეცნიერების, მათემატიკის, პედაგოგიკის მიმართულებით „კელლინსა შინა გაენათისასა“. მათ გელათში ის სული და იდეები მოიტანეს, რომელიც ტრიალებდა იმ დროის ბიზანტიის მაღალ საზოგადოებრივ-კულტურულ წრეებში, და კერძოდ, XI საუკუნის შუა წლებში კონსტანტინე მონომახის მიერ განახლებულ მანგანას აკადემიაში, სადაც ასწავლიდნენ ბიზანტიის მომავალი პატრიარქი – იოანე ქსიფილინოსი (იურიდიული ფაკულტეტის კპატოსი), მიქაელ პსელოსი (ფილოსოფიის ფაკულტეტის კპატოსი), შემდგომ კი მისი მოწაფე – იოანე იტალოსი; ამ

სკოლა-აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, რომლის დარგებად განიხილებოდა რიტორიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, ფიზიკა, მეტაფიზიკა... მიქაელ ჰსელოსი ფილოსოფიის სწავლებას იწყებდა არისტოტელეს ლოგიკიდან და შემდეგ გადადიოდა მისი მეტაფიზიკის განმარტებაზე. XI საუკუნის ბოლოსკენ კი, ალექსი კომნენოსის მიერ დაარსებულ სკოლაში სასწავლო პროგრამა ძირითადად ითვალისწინებდა ბიბლიის ეგზეგეტიკას (ფსალმუნთა, მოციქულთა და სახარებათა განმარტებებს), მაგრამ ასწავლიდნენ ასევე, საერო დისციპლინებსაც, მაგ., კვადრიგიუმის საგნებს (არითმეტიკას, გეომეტრიას, მუსიკას, ასტონომიას); ასევე, მედიცინას, გრამატიკას, რიტორიკას და ფილოსოფიას დიალექტიკითურთ [იხ. *Культура Византии: VII-XII в., Школы и образование*, 1989: 395-400]. სასწავლო დისციპლინების ამ ჩამონათვალს ვხედავთ იოანე პეტრინის „განმარტებაში“ პროკლე დიადოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“ და ამონიოს ერმიასის არისტოტელეს „კატეგორიების“ „მოსაწესებლებში“. ეს ნაშრომები ძირითადი სახელმძღვანელოებია გელათის სკოლა-აკადემიის სასწავლო ნუსხაში.

აღსანიშნავია, რომ ამ სკოლა-აკადემიებს ბიზანტიაში იმპერატორები პატრონობდნენ. სწორედ ამავე პერიოდში, ბაგრატიონების სამეფო ოჯახს ნათესაური კავშირი აქვს ბიზანტიის სამეფო კართან: დავით აღმაშენებლის მამიდა – მარიამ-მართა, ბაგრატ IV-ის ასული, ბიზანტიის სამეფო ტახტის დედოფალია (იგი „რუის-უზნისის ძეგლისწერაში“ (1103-4წ.) უკვე გარდაცვლილთა შორისაა მოხსენიებული): ასეთი ახლო კავშირების გამო დავით აღმაშენებლისათვის ცნობილი იქნებოდა, რომ იმპერატორმა

2 გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან“ არის ცნობილი, ბაგრატ მეფის ასული ადრეც წარუდგენიათ სამეფო კარზე უფლისწულზე დასაწინადად, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორის დედის გარდაცვალების გამო ეს ცერემონია მაშინ გადადებულია. მაგრამ გიორგი მთაწმიდლის მაშინ წარმოთქმული ცნობილი წინასწარმეტყველება – „დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“ – მალევე აღსრულდა.

როგორც ალექსი კომნენოსის ქალიშვილი და ბიოგრაფი, ანა კომნენე იგონებს, ნიკეიორე ბოტანიატეს ტახტიდან ჩამოგდების შემდეგაც მარიამ დედოფალყოფილი რამდენიმე ხანს ჯერ კიდევ სამეფო სასახლეში ცხოვრობდა თავის ვაჟთან, ტახტის კანონიერ მემკვიდრესთან, კონსტანტინე დუკასთან ერთად, რადგანაც „თავისი ვაჟის სიცოცხლის გამო შიშობდაო“ [Анна Комнина “Алексиада” 1965: 116]. თავის მემუარებში ანა ყოველთვის სიყვარულით იხსენიებს მარიამ დედოფალს და მის ვაჟს, „ოქროსკულულებიან“ კონსტანტინესაც, რომლებიც იყო დანიადული და ამიტომ ჩვეულებისამებრ, ბავშვობაში რვა წლის განმავლობაში მარიამთან – თავის სადედამთილოსთან იზრდებოდა სამეფო სასახლეში.

აღსანიშნავია, რომ 1985 წელს, ბიზანტინისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ტრადიციულად ტაბახმელაში ტარდებოდა, ბერძენმა არქეოლოგმა, ძეკოსმა (მასთან ერთად იყო ასევე, ბერძენი ბიზანტინისტი ლინოს ბენაკისი), წაიკითხა მოხსენება, რომელიც ეხებოდა როდოპის მთების სამხრეთ კალთებზე არსებული მონასტრის ეზოში ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილ სამარხს. სამარხში ნეშტი აღარ იყო (როგორც ჩანს, წესის თანახმად, დაკრძალვიდან 4 წლის შემდეგ მონასტრის ძვალთმესალაგში იქნა გადატანილი), მაგრამ თვით სამარხში იპოვეს მინაში ჩამარხული ოქრომკედის ძაფები და ბეჭედი სამეფო ტვიფარით, მცდარი ორთოგრაფიით – «*Μαριας Βοτονιατε*»; ხოლო თვით ტაძრის კედლის ფრესკაზე გამოსახული ახალგაზრდა ქალი დედოფლის სამოსელში და მის გვერდით 14 წლის წითელწაღებიანი ვაჟის გამოსახულება. ეს ეკლესია პეტრინოსის მონასტრის მეტოქად იქნა მიჩნეული. ეს იყო დიდი აღმოჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც

ალექსი კომნენოსმა XI საუკუნის მინურულს სამეუფეო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, საპატრიარქო მონასტერთან დააარსა ასეთი ტიპის სასწავლებელი – და განიზრახა მსგავსი სკოლის დაარსება თავის სამეუფეო ქალაქის, ქუთათისის შემოგარენში: „*მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან, ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა, ვითარცა, მეორეცა ვარდაართა ტაძარი ყოვლად წმიდისა დედისა ღმრთისაჲ, რაბამ რაჲმე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულობისა... და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატოხსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა... ხოლო, სახელი მისი – გელათი.*“ იმათ, ვინც ამ მონასტერში მოღვაწეობდა, „*უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა*“. გარდა ამისა, აქვე „*აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვთო სახითა სენითა განცდილნი; და მოუძზადა ყოველ საჭმარი მათი უნაკლულოდ და უხუებით...*“ [„*ქართლის ცხოვრება*“, დავითის ისტორიკოსი, ს.ყაუხჩიშვილის გამოცემა 1955: 330; „*ცხოვება მეფეთ მეფისა დავითისი*“, მ. შანიძის გამოცემა, 1992, 175].

**„გელათის აკადემიას“** 1948 წელს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა – ქართლის ცხოვრების სრული კორპუსის და პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების“ იოანე პეტრინისეული თარგმანისა და „განმარტების“ პირველმა გამომცემელმა. ამ ნარკვევში ავტორმა, დავითის ისტორიკოსის ცნობებზე დაყდნობით, წარმოადგინა მეტად მნიშვნელოვანი სურათი გელათის მონასტერში დავით აღმაშენებლის მიერ 1114 წელს დაარსებული „ყრმათა სასწავლებელისა“; ლიტერატურულ-ისტორიული მასალის განხილვის შემდეგ მოიკვლია უალრესად საინტერესო მასალა გელათის მონასტრის სიგელებიდან, იოანე პეტრინის შრომებიდან, ასევე, ცნობები ბიზანტიის ანალოგიური სკოლების შესახებ, რომლებიც ნათელს ჰყოფენ იმდროინდელი საქართველოს ბერძნული აკადემიის ტიპის უმაღლესი სკოლის აგებულებას, მიმართულებასა და ხასიათს; ყოველივე ამასთან ერთად, წარმოადგინა 1945 წლის ზაფხულში გელათის მონასტერში მოწყობილი ექსპედიციის დროს წარმოებული გათხრების შედეგად მოპოვებული მანამდე უცნობი მასალისა და გელათის ძეგლის ნანგრევების გამოწვლილვითი ანალიზი, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ გელათში არსებობდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც სწავლება აგებული უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი განათლების სისტემის – „*ტრივიუმ-კვადრივიუმის*“ მიხედვით: რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია დიალექტიკითურთ და მათემატიკა, გეომეტრია, მუსიკა, ასტრონომია. „*ბიზანტიაში ცნობილია ასეთი სისტემა დაწესებულებათა: მონასტერი, უმაღლესი სკოლა, ქსენონი: ასე, მაგალითად, XIII საუკუნეში*

---

ბევრი სხვა, საქართველო-ბიზანტიის ისტორიული ურთერთობის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ფაქტი, ჩვენში უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

პლანუდეს სკოლა კონსტანტინოპოლში შეიცავდა სკოლას, მონასტერს, ქსენონს. თუ ქსენონი გელათის მონასტერში შედიოდა, მაშინ, შესაძლებელია, გელათის აკადემიაში... ისწავლებოდა აგრეთვე მედიცინაც (როგორც ეს იყო ბიზანტიის ზოგიერთ სკოლაში) და, იქნებ, შემთხვევითი არ არის ის გარმობაც, რომ იოანე პეტრიწი სწორედ იმ ადგილას, სადაც ზემორე განხილულ შეიდ დისციპლნაზე ლაპარაკობს და ფილოსოფიაზე საუბარს მოათავებს, არ ივინყებს მედიცინასაც და მასზედაც იძლევა დანვრილებითს ცნობებს“ [ყაუხჩიშვილი, „გელათის აკადემია“, 1948 / 2018: 15, §4].

**ყოველივე ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ გელათის სკოლის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ინტერესებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლა და სწორად შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ამ დროის ბიზანტიის განათლებულ წრეებში მიმდინარე კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გათვალისწინებითა და, საერთოდ, ამ ეპოქის ბიზანტიურ სამყაროსთან მიმართებით.**

\* \* \*

ადრექრისტიანული აზროვნების ისტორიაში დოგმატიკების ჩამოყალიბების პერიოდი ლათინურენოვან თეოლოგიურ ლიტერატურაში აღბეჭდილია ტერტულიანეს სიმბოლური სიტყვებით: „რა არის საერთო ათენსა და იერუსალიმს შორის, აკადემიასა და ეკლესიას შორის!“ – რაც ცოდნასა და რწმენას უპირისპირებდა ერთმანეთს. იგი მოითხოვდა, რომ ლოგიკურ აზროვნებას ადგილი დაეთმო რწმენისთვის, რადგანაც სწორედ დიალექტიკური მსჯელობის გზაზე იბადებოდა მწვალებლური აზრები და ერეტიკული მიმდინარეობანი. ის ეპოქა კი, რომელშიც ყალიბდება და მუშაობს გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, ხასიათდება სრულიად საპირისპირო ტენდენციებით, რაც სიმბოლურად სწორედ ათენისა და იერუსალიმის (ანუ ცოდნისა და რწმენის) ერთიანობაში გამოიხატებოდა. ამ მხრივ, გელათის სკოლა ქრისტიანული აზრის ისტორიაში აგრძელებს აღმოსავლური თეოლოგიის ალექსანდრიული სკოლისა (სადაც წმ. ნერილის ალექსანდრიულ ეგზეგეზას ჩაეყარა საფუძველი) და კაპადოკიური პატრისტიკის ხაზს: კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც ჩამოყალიბებული პრინციპის სახე მისცა წმ. ნერილზე დაყრდნობილ ეკლესიურ მოძღვრებას რწმენისა და ცოდნის ჰარმონიაზე; ორიგენესი, რომელმაც თავისი პირველი ცდებით ქრისტიანობის სიმბოლური ახსნისა ელინური აზრის კატეგორიებში, საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანულ ფილოსოფიურ სპეკულაციებსა და ხედვებს; კაპადოკიელი წმ. მამებისა, რომელნიც პლატონური სიტყვიერი აპარატის ქრისტიანიზაციის გზაზე იდგნენ; არეოპაგტიკისა, რომელიც რწმენისა და ცოდნის ჰარმონიის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს; მაქსიმე აღმსარებლისა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბიზანტიურ თეოლოგიურ ლიტერატურაში არეოპაგტიკის ფილოსოფიური

საფუძვლების გავრცელებასა და დამკვიდრებაში; წმ. იოანე დამასკელისა, რომელმაც პლატონისა და არისტოტელეს კომენტარებზე დაყრდნობით შექმნა მყარი სისტემატიზებული სიტყვიერ-ლოგიკური აპარატი ქრისტიანული სქოლასტიკისა; დაბოლოს, მანგანას აკადემიისა, რომელმაც ეს მიმართულება XI-XII საუკუნის ბიზანტიაში უფრო საერო და რაციონალისტური გზით განავითარა.

\* \* \*

XI საუკუნის ბოლო მეოთხედისა და მთელი XII საუკუნის განმავლობაში, როდესაც ბიზანტიის იმპერიას კომნენების დინასტია მართავდა, სახელმწიფოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციას კულტურისა და განათლების აყვავება მოჰყვა თან. ანა კომნენე ამ დროის სამეუფეო ქალაქს, კონსტანტინოპოლს ახასიათებს, როგორც „ყოველნაირი მეცნიერებითა და სიტყვიერი ხელოვნებით აყვავებულს“ [Анна Комнина, «Алексиада» 1965: 171]. მისი სიტყვებით, მეცნიერება, რომელიც ბასილი პორფიროგენეტის დროიდან მოყოლებული, იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მეფობამდე, რომელმაც კონსტანტინეპოლის მანგანას რეგიონში აღადგინა აკადემიური სწავლება (ცნობილია, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ 329 წელს გააუქმა ათენის ცნობილი აკადემია და საერთოდ, აკრძალა ელინური ფილოსოფიის საფუძველზე შექმნილი აკადემიური განათლება), უყურადღებოდ იყო მიტოვებული, მისი მამის, ალექსი კომნენეს ბრწყინვალე ზეობის ხანაში „გაიფურჩქნა, ამაღლდა და განათლებული ადამიანების საქმიანობის მთავარ საგნად იქცა“ [იქვე: 171]. ბიზანტიის სამეუფეო ქალაქში იქმნება და ყალიბდება ლიტერატურული და მეცნიერული წრეები, სადაც საგანგებოდ სწავლობენ და განმარტავენ ანტიკურ ფილოსოფოსებს. ეს წრეები ძირითადად გავლენიანი არისტოკრატიისა და კომნენების სამეფო სახლის მანდილოსნების გარშემო ჯგუფდება. ცნობილია, მაგალითად, სევასტოკრატორ ირინეს ლიტერატურული წრე, რომელიც ძირითადად ანტიკური ავტორების ლიტერატურათმცოდნეობისა და ეტიმოლოგიურ-გრამატიკული ანალიზით იყვნენ დაკავებულნი; თვით ანა კომნენეს წრეში, რომელიც ფილოსოფიისადმი განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდა, შედიოდნენ როგორც უკვე ანათექმნილი იოანე იტალოსის მონაფე, ევსტრატი ნიკიელი (შემდგომ ისიც მწვალებლობაში მხილებული) და პსელოსის მონაფე – მიქაელ ეფესელი, რომელმაც იმპერატორის უგანათლებულესი ასული უკვეთავდა კომენტარებს არისტოტელეს შრომებისათვის [Анна Комнина, “Алексиада”, 1965:17; Breier 1970: 400; Фрейберг 1975: 38]. ბიზანტიელ თეოლოგ-ეგზეგეტთა და ქართველ მთარგმნელთა თავისი წრე ჰყავდა შემოკრებილი მართა-მარიამ დედოფალსაც: ცნობილია, რომ 1080-იან წლებში „ქალაქსა შინა სამეუფოსა კონსტანტინეპოლს, მონასტერსა შინა შუენიერსა დედისა ღმრთისასა, ტრიანდაფლიუს, დედოფლობასა მართაჲსსა და მეფობასა ნიკიფორე ბოტანიატისა და ალექსი კომნინისათა“ მოღვაწეობდა და თარგ-

მნიდა დედოფლის თხოვნით მისი ძმის, გიორგი II-ის მიერ მივლნებული ქართველი ბერი – თეოფილე ხუცეს-მონაზონი [კეკელიძე, 1960: 244-245]; მარიამ დედოფლისავე დაკვეთით შეუსრულებია სახარებათა განმარტებანი თეოფილაქტე ბულგარელს (მისი ვაჟის, იმპერატორის ტახტის მემკვიდრის, კონსტანტინეს აღმზრდელს), რაზედაც ქართული თარგმანის ზედწარწერაც მიუთითებს: „წმიდისა სახარებისაჲ, ნამუშაკვეი მის ბრძანებისა მიერ მარადის საწსენებელისა დედოფლისა მარიაჲსი“ [A-52: 1]. მისივე დაკვეთით წერს იოანე იტალოსის მონაფე, ევსტრატი ნიკიელი „მეტეოროლოგიურ“ ტრაქტატს [ალექსიძე ა. 1988: 14-15]. „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს“ გვამცნობს, რომ საბერძნეთში იქნა წარგზავნილი იოანე პეტრინი, „რათა მიიღოს ენა ელინური და განისწავლოს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა სწავლისა მიღებათა შინა. ხოლო ესოდენ განსწავლულ იქმნა და ფრიად ზედმინევილ პლატონურთა ღვთისმეტყველებათა და არისტოტელითა ფილოსოფოსობათა, რომელ მუნცა რჩეულ იქმნა ესოდენ, რომელ ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა სამეუფოსა ქალაქსა კოსტანტინეპოლს შინა, ესე იგი ვიზანტიასა, მოძღურად დაიდგინა“ [მცირე უწყებანი“, 1982].

ბიზანტიაში ეს ეპოქა აღინიშნება სამეცნიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის განსაკუთრებული სიუხვით. განათლების სფეროში საერო ტენდენციების გაძლიერებით, ხელოვნებასა და მეცნიერებაში ანტიკურობის აღორძინებით. ამ პროცესმა განსაკუთრებით ფილოსოფიაში იჩინა თავი: მომრავლდა კომენტარები და სქოლიოები ელინთა ფილოსოფოსების თხზულებებისთვის. თეოლოგიური პრობლემები XI-XII სს-თა ბიზანტიაში, ჩვეულებრივ, ფილოსოფიურ ნიადაგზე მუშავდებოდა. ასე, მაგ., მიქელ პსელოსი, რომელიც თეოლოგიას „უმაღლეს ფილოსოფიად“ თვლიდა, თავის ამოცანას ხედავდა ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანობის შეხამებაში. იგი მიზნად ისახავდა ქრისტიანობის სამსახურში ჩაეყენებინა არა მარტო არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრება, არამედ პლატონიც, ნეოპლატონიკოსებიც და, საერთოდ, მთელი ანტიკური ფილოსოფია. პლატონს იგი ქრისტიანობის წინამორბედად თვლიდა სულის უკვდავების შესახებ მისი მოძღვრების გამო და უყურებდა მას, როგორც ჭეშმარიტ თეოლოგს, რომელმაც წესრიგში მოიყვანა ჩვენი ცოდნა ზესთაგონიერ სამყაროზე [Breier 1970: 362]; იგი პლატონს ფილოსოფიის მეტრად მიიჩნევდა და ყველაზე დიდ გენიოსად, რომელსაც ოდესმე იცნობდა მსოფლო [Tatakis 1959: 189-90]. პსელოსის „ხრონოლოგიაჲ“ ჩანს, რომ მისი ინტერესების წრე მოიცავდა არისტოტელესა და პლატონს, ხოლო მათი შესწავლის შემდეგ იგი გადავიდა პლოტინეზე, პორფირიუსსა და იამვლიხოსზე „და ბოლოს, როგორც დიდ ნავსადგურში, ღუზა ჩავუშვი შეუდარებელ პროკლესთან, რომლისაგანაც ვისწავლე მთელი სიბრძნე და ზუსტი აზროვნების ხელოვნებაო“ [Пселл, Хронография, XXXVIII: 80-81]. როგორც ანა კომნენეს „ალექსიადიდან“ ჩანს, ფილოსოფოსთა ამავე წრის შესწავლით იყო დაინტერესებული პსელო-

სის მონაფე – იოანე იტალოსი, რომელიც თავის მასწავლებელზე კიდევ უფრო შორს მიდიოდა, როდესაც თავის მონაფეებს ნეოპლატონიკოსთა მოძღვრებას თითქმის მთლიანობაში ასწავლიდა, აღიარებდა პლატონური იდეების თეორიას, ისევე, როგორც სულთა გადასახლებას; სწამდა მატერიის მარადიულობისა (უსასრულობისა); პლატონურ აზრებს საეკლესიო მამათა აზრებზე მაღლა აყენებდა და ქრისტიანულ დოგმათა განმარტებას ნეოპლატონურ მეტაფიზიკას უქვემდებარებდა. როგორც ანა კომნენე წერს, იტალოსი ქადაგებდა საეკლესიო დოგმებისთვის უცხო აზრებს, რის გამოც ეკლესია აფორიაქებული იყო მისი სწავლებით [იქვე : 80-81].

ბიზანტიური სქოლასტიკის სწორედ ამ პერიოდში, რომელსაც ზოგი მკვლევარი „ბიზანტიურ რენესანსს“ უწოდებს, როდესაც ბიზანტიის განათლების სისტემაში საერთო ტენდენციებმა იძალა და სამეცნიერო ინტერესების გამოცოცხლებასთან ერთად რაციონალისტური იდეები ღვთისმეტყველებაშიც შეიჭრა, როდესაც ღვთისმეტყველება „უმაღლეს ფილოსოფიად“, „პირველ ფილოსოფიად“ იქნა შერაცხილი, კვლავ გამოცოცხლდა ადრე-ქრისტიანული ხანისთვის დამახასიათებელი ტრინიტარული პოლემიკა, რასაც ხშირად ქრისტიანულ დოგმატიკაში ფილოსოფიური ტერმინების ანტიკური გაგებით გამოყენება იწვევდა. მაგალითისთვის კმარა დავასახელოთ სამების დოგმატის უძირითადესი ცნება-ტერმინების – ერთი მხრივ, **არსება//ბუნება** და, მეორე მხრივ, **განუკუეთელი//გუამი//პირი** სინონიმური მნიშვნელობით გაგება (როგორც ეს არისტოტელესთანაა), რაც „გარეშე“ ფილოსოფოსებთან და შიდა მწვალებლებთან „სიტყვის-გების“ (კამათის) მიზეზი იყო.<sup>3</sup> ყურადღების ცენტრში კვლავ დადგა „საღმრთო ბუნების“, ქრისტეს პირისა და არსების საკითხი. მძაფრი თეოლოგიური პოლემიკის პროცესში ვლინდებოდა ახალი ფორმები ძველი ერესებისა. მაგ., იოანე იტალოსის მონაფე, ევსტრათი ნიკიელი (რომელიც, როგორც ნიკიტა ხონიატი აღნიშნავს, თეოლოგიურ კამათშიც თავისი მასწავლებლის მეთოდის ერთგული დამცველი იყო, მასავით გაურბოდა საკუთარი ნაშრომების ბიბლიური და პატრისტიკული ციტატებით გადატვირთვას და მიმართავდა დიალექტიკურ მეთოდსა და ლოგიკურ არგუმენტებს), ფილიპოპოლში ერთ მონოფიზიტ სომეხთან გამართულ პოლემიკაში მეორე უკიდურესობაში გადავარდა: დაამცირა ქრისტეს ღვთაებრივი არსება და არიოზის წვალეა ააღმორძინა. სოტირიხოს პანტევეგნოსი კი სამების თავისებურ იერარქიულობას აღიარებდა, როდესაც მსხვერპლის მიმღებად მხოლოდ მამა ღმერთს მიიჩნევდა და, მაშასადამე, მიჯნავდა მამისა და ძის ბუნებას, რაც სამების ერთარსების ძირითად პრინციპსა და დოგმას ეწინააღმდეგებოდა.

აღბათ ამიტომაც, ამ პერიოდში კვლავ გამოცოცხლდა ბიბლიური ეგზეგეტიკაც, რომელიც წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცნობილი კითხვა-მიგებებისაგან განსხვავებით, ძლიერი რაციონალისტური ტენდენციებით ხასიათ-

3 იხ. წმ. ეფრემ მცირის ანდერძი, წმ. იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თავებისთვის“ [იოანე დამასკელი „დიალექტიკა“, 1976: 66-68].

დებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამავე ხანის ბიზანტიელმა საეკლესიო მოღვაწემ, თეოფილაქტე ბულგარეთის მთავარეპისკოპოსმა, თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა განსაკუთრებით გამოყო და ვრცლად განმარტა მაცხოვრის სიტყვები: „*მამა ჩემი უფროს ჩემსა არს*“. ამ სიტყვებში დაეჭვებისა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს ხედავდნენ და ამ დროის ბიზანტიის თეოლოგიურ წრეებში მათ გარშემო მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა. თავის განმარტებაში თეოფილაქტემ ხაზი გაუსვა ქრისტეს ადამიანური ბუნების უმცროსობას მისსავე ღვთაებრივ ბუნებასთან მიმართებით: „*თქუედ მწუალებელთა: რაჲსაებრ მივიდოდა მამისა მიმართ ქრისტე: ვითარ ღმერთი ანუ ვითარ კაცი? უეჭველად, ვითარ კაცი, ვინაჲთგან, ვითარ ღმერთი მარადის ცათა შინა იყო და განუშორებელ მამისაგან. კაცობრივობისაებრ უკუე ითქმის უფროს მისსა ყოფად მამაჲ*“ (4- 52).

ამგვარად, იმ დროის ყველა ბიზანტიელი მოაზროვნე აუცილებლობით მიდიოდა საღვთისმეტყველო საკითხების განხილვამდე და ფილოსოფოსისათვის შეუძლებელი იყო შეჩერებულიყო მეტაფიზიკური აზროვნების ზღვარზე ისე, რომ არ გადავარდნილიყო ქრისტიანული დოგმატიკის სფეროში და, ამასთან, არ გადაეღაზა ზღვარი ორთოდოქსიისა, არ გადაეხვია წმ. მამათა გზიდან: რადგანაც არისტოტელეს ლოგიკური კანონების, დასაბუთების მეთოდის მომარჯვება ქრისტიანული დოგმატიკის მიმართ, რასაც სქოლასტიკის ფუძემდებლის, წმ. იოანე დამასკელის „*საფილოსოფიო თავებმა*“ (ე.წ. „*დიალექტიკაჲ*“) გაუხსნა გზა,<sup>4</sup> მეტად მაცთუნებელი აღმოჩნდა მეძიებელი გონებისათვის: რადგანაც, როგორც იოანე პეტრიწი წერს, მართალია, არისტოტელეს ლოგიკური („*შესიტყვითი*“) კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია რისამე წვდომა ლოგიკური (გონების) გზით, მაგრამ იგივე კანონები „*ვერ კმა-არიათ*“ ზესთაგონიერი სამყაროს შეცნობისთვის [„*განმარტება*“ თ.1].

თუ ადრე ბიზანტიის მმართველი წრეები შემწყნარებლობას იჩენდნენ წარმართული ფილოსოფიის მიმართ, ახლა XI-XII სს-ში, როდესაც ფილოსოფია თეოლოგიის საფუძველი გახდა, რაციონალიზმი თავის მწვალებლური გამოვლინებით ისე ღრმად შეიჭრა ბიზანტიის თეოლოგიურ აზროვნებაში, რომ გარდაუვალი გახდა მისი ყოველგვარი გამოვლინების ალაგმვა. იმპერატორი ალექსი კომნენე, რომლის დიდი ხელშეწყობითაც აღორძინდა აკადემიური განათლება, იძულებული გახდა აეკრძალა ყოველგვარი კამათი ქრისტიანული დოგმების გარშემო: საეკლესიო პირთაგან იმათ, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ აკრძალვას, ეკლესიიდან განკვეთა ემუქრებოდა, ხოლო საერო პირებს – ქონების კონფისკაცია. იოანე იტალოსი 1082-1084 წლებში გასამართლებულ იქნა არაორთოდოქსული შეხედულებების გამო, იგი ეკლესიიდან განკვეთეს იმის გამო, რომ თავისი ფილოსოფიური სისტე-

4 იხ. ეფრემ მცირე, იოანე დამასკელის „*დიალექტიკის*“ ზემოთ დასახ. „*ანდერძი*.“

მა არ შეუთანხმა საეკლესიო მოძღვრებას [ვრცლად იხ. Успенский, Ф. 1891: 146-246], თუმცა, ანა კომნენეს ცნობით, მოგვიანებით მოინანია თავისი შეცდომები და ყოველნაირად სცადა მართლმადიდებლობასთან შეეხამებინა თავისი შეხედულებანი [Анна Комнина, "Алексиада", 1965: 176]. უფრო გვიან, სომხეთთან დოგმატიკურ პოლემიკაში დაშვებული შეცდომებისათვის მხილებულმა ევსტრათი ნიკიელმაც, რომელიც მეორე უკიდურესობაში გადავარდა და არიოზის წვალება ააღორძინა, მოინანია თავისი შეცდომები (თუმცა, მას ეპისკოპოსის ხარისხი მაინც ჩამოართვეს), ხოლო 1167 წელს ეკლესიიდან განკვეთეს სოტირიხოს პანტევეგენოსი, რომლის ნინაალმდეგაც საეკლესიო კრებაზე გამოსულმა ნიკოლოზ მეთონელმა დაწერა საგანგებო შრომა, სადაც იგი ლოგიკური დასაბუთების მეთოდებითვე უპირისპირდებოდა სოტირიხოსს და მის წვალებას პლატონური იდეების შესახებ მოძღვრებიდან მომდინარედ თვლიდა.<sup>5</sup>

აი, ამ გარემოში, სამეუფეო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, აზრთა ამ ცხოველ ჭიდილში იკვეთებოდა ქართველ მეფეთაგან ბიზანტიაში მაღალი სქოლასტიკურ-თეოლოგიური განათლების მისაღებად წარგზავნილი ქართველი ახალგაზრდების სააზროვნო ინტერესები. ბუნებრივია, ის ტენდენციები, რაც ახასიათებდა იმდროინდელი ბიზანტიის კულტურულ სამყაროს, ქართულ ნიადაგზე გადმონერგეს და გელათის სკოლაში განავითარეს იოანე პეტრიწმა და მისმა თანამოღვაწეებმა, რომელთაც ბიზანტიაში გაიარეს ფილოსოფიურ-თეოლოგიური განათლების დიდი სკოლა.

\*\*\*

XI-XII საუკუნეები ბიზანტიასა და მის კვალდაკვალ – საქართველოშიც სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციით ხასიათდება. საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიის განათლებისა და ლიტერატურულ წრეებში შექმნილი მდიდარი კომენტარული ჟანრის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე ჩამოყალიბდა მეცნიერული ენა, რომელსაც შემდგომ იყენებდა სტილიზებული მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ენაც (მაგ., საქართველოში „მეხოტბენი“ და „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი). და, თუ XI საუკუნემდე ბიზანტიური ლიტერატურა იყო ლიტერატურა კონსერვატიული ენისა, რომელშიც აქა-იქ თუ შეიჭრებოდა ახალი გრამატიკული ფორმები, XI საუკუნის შუა ხანებიდან იწყება ბიზანტიური „კონიეს“ რეფორმა. მის წამომწყებად მიქელ პსელოსი ითვლება, მანგანას ცნობილი აკადემიის ფილოსოფიის ფაკულტეტის იპატროსი, რომელიც, თუმცა კლასიკურ ენაზე წერს და ძირითად ხაზებში იცავს კლასიკურ ნორმებსა და ტრადიციებს, მაგრამ მის ენაში „კონიეს“ დაშლის ნიშნებს ხედავენ: იგი ერთდროულად იყენებს არსებითისა და ზედსართავის ძველსა და ახალ ფორმებს, აღრეულია ზმნის უღლების სისტემა; პსელოსი

<sup>5</sup> ვრცლად იხ. მელიქიშვილი დ., 1988: 27-28 და შმდ.

ცდილობს, თავი აარიდოს „ვულგარიზმებს“, მაგრამ მის მიერ შექმნილი სამეცნიერო ენა მაინც საგრძნობლად განიცდის სალაპარაკო ენის გავლენას. ანა კომნენეც, მიუხედავად მისი განსაკუთრებული პურიზმისა, ვერ აღწევს თავს ვულგარული ენის გავლენას და კლასიკური ენის თვალსაზრისით, „შეცდომებს“ უშვებს [Brehier, 1970, 283]. XI საუკუნის შუა ხანებიდან იქმნება პირველი ნიმუშები სალაპარაკო ენით დაწერილი პოეზიისა (იოანე სკილიცე და თეოდორე პროდრომე, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა სცადა შეეტანა სალაპარაკო ენა „დიდ ლიტერატურაში“). XI-XII საუკუნეთა ბიზანტიური ლიტერატურისათვის დამახასიათებელია ტრადიციული ესთეტიკის გადასინჯვა, დემოკრატიზაცია, რასაც რაციონალისტური ტენდენციების საზოგადო ზრდით ხსნიან [Ист. Византии, 1967-II, 369-371].

ანალოგიური მოვლენებია ამ პერიოდის საქართველოს ლიტერატურულ-სამნიგნობრო და განათლების კერებში. XI საუკუნეში ქართული ხალხური, სალაპარაკო (ეფრემ მცირის ტერმინით – „სოფლური“, ხოლო იოანე პეტრინის მიხედვით – „მდაბრიონთა“) ენა იმდენად დასცილდა ძველი ქართული მნიგნობრული სკოლების მიერ გამომუშავებულ ლიტერატურულ (ეფრემ მცირის მიხედვით – „ნიგნურ“, იოანე პეტრინის მიხედვით – „გაღექსებულ“) ენას, ზეპირმეტყველებაში იმდენი სიახლე დაგროვდა ფონეტიკისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი – მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში, რომ ტრადიციული, მნიგნობრული ენა ვეღარ ასახავდა ქართული ზეპირი (სალაპარაკო) ენის განვითარების ამ საფეხურს. მას რეალური საყრდენი გამოცლილი ჰქონდა, რადგანაც ამ დროისათვის უკვე არსებობდა მთელი ჯაჭვი ენობრივი ცვლილებებისა, რომლებიც ენის მთელ სისტემას მოიცავდა. ამიტომ გარდატეხა მკაცრი ნორმების მქონე სამწერლობო ენაში უკვე გარდაუვალი გახდა. ძველი სამწერლობო ენის ნორმების რღვევასთან ერთად გზა გაეხსნა სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, რომელთა კომპლექსური შემოჭრა სამწერლობო ენაში ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების დასაწყისს მოასწავებდა. პირველი ნაბიჯების გადადგმა წილად ხვდა XI საუკუნის დიდ ათონელ მოღვაწეს, გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც ორჯერ მოუხდა საქართველოში ჩამოსვლა (მეორედ, გიორგი II-ის მოწვევით, მან აქ ოთხი წელი დაჰყო, როდესაც უშუალო შეხება ჰქონდა ცოცხალ მეტყველებასთან): ა. შანიძე გიორგი მთაწმიდლის თხზულების, „იოვანესა და ეფთვიმეს ცხორების“ ენის თავისებურებათა განხილვის შედეგად დაასკვნის, რომ „ქართულ სალიტერატურო ენაში დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალი ქართულისაკენ... კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი, ის ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX-Xსს) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ ახერხებს, თავი დააღწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან, ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში. ერთი სიტყვით, ძეგლიდან ჩანს, რომ ქართული სალიტერატურო ენა შემდგარა ახალ

გზაზე“ [შანიძე ა., 1946: 81]. მომდევნო ხანის ქართველი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იოანე ტარიჭისძის, იოანე ჭიჭიმელის მოღვაწეობა ამ ტენდენციების გაღრმავებისა და განვითარების ნათელი მაგალითია.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლის როლი ქართული სალიტერატურო ენის, მეცნიერული ენის განვითარების ისტორიაში. სისტემურად დამუშავებულ ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ენაში, რომელიც ბერძნული ენის ძლიერ გავლენას განიცდიდა სინტაქსური კონსტრუქციებისა და სიტყვათმომოქმედების სფეროში, ამკარად ვლინდება ენის გახალხურების ძლიერი ტენდენციები, განსაკუთრებით დიალექტური ლექსიკისა და სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმების ერთობლივი მოზღვავება [მელიქიშვილი დ., 1975: 11-33; 1987: 205; 1987 b: 70-81]. გელათის სკოლის მნიშვნობართათვის დამახასიათებელი ელინოფილური ტენდენციების მიუხედავად, თარგმანის თეორიასა თუ პრაქტიკაში მათ ფართოდ გაუხსნეს კარი ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებებს და საპირისპიროდ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სალიტერატურო სკოლების ტრადიციული კონსერვატიზმისა (რაც, შესაძლებელია, სწორედ ცოცხალი, სალაპარაკო ენისაგან მათი იზოლირებით იყო გამოწვეული), შეუზღუდავად გაავრცელეს ისინი მნიშვნობრულ ენაში. „ვეფხისტყაოსნის“ ენა ამ პროცესების ნათელი მაგალითია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

## **2. მთარგმნელობითი პრინციპები და ლიტერატურული მემკვიდრეობა**

გელათის სკოლაში, სადაც დაარსდა „სასწავლებელი ყრმათათჳს“, რომელშიც „*მრავალი ქართველი განისწავლებოდა სიბრძნისმოყუარებასა შინა*“, დაიწყო ანტიკურობის წიგნური, მეცნიერული ათვისება: ანტიკური ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი, პლატონისა და არისტოტელეს შრომებისა და მათი კომენტატორების, პორფირის, ამონიოსის, იამვლიხოსის, პროკლეს შესწავლა-დამუშავება, თარგმნა და კომენტირება.

გელათის საღვთისმეტყველო-ფილოლოგიური სკოლა მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საერთოდ, მეცნიერული ენის განვითარების გზაზე. იგი შემქმნელი და დამამკვიდრებელია სრულიად გამორჩეული, თვითმყოფადი ენობრივი სტილისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია:

**1. სათარგმნი მასალის შერჩევისას მკვეთრი ტენდენცია ფილოსოფიურ-თეოლოგიური ეგზეგეტიკისა და დოგმატიკისადმი, რომელსაც უკავშირდება ადევკატური თარგმანის თეორიის განვითარება და მისი მკაცრი გატარება პრაქტიკაში (რთული ფილოსოფიური და**

საღვთისმეტყველო ხედვების გადმოცემისას მაქსიმალური სიზუსტის დაცვის მიზნით).

2. გამოკვეთილი პოზიცია, ერთი მხრივ, ბერძნული ენის, როგორც „გონიერ ხედვათათვის მომარჯვი“ ენისა, და, ამდენად, მისაბაძი მოდელის მიმართ; ხოლო, მეორე მხრივ, ხალხური კილოს, როგორც მეცნიერულ-ლიტერატურული ენის გამდიდრების ძირითადი წყაროს მიმართ.

3. აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია გარკვეული ენობრივი ფორმების (არქაულ-დიალექტური, განსაკუთრებით დერივაციული ინოვაციების) უტრირებისა, რაც საბოლოოდ სტილიზაციასა და მანერულობაში გადაიზარდა.

4. შეგნებული პოზიცია სპეციალური ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ენის გამოუმუშავებისა და ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბების მიმართ.

გელათის სკოლის ენობრივ-ლიტერატურული სტილის ერთიანობის ზოგად საფუძვლებს, ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად, ქმნის ადეკვატური, ზედმინევენითი თარგმანის პრინციპი, რომელიც წარმმართველია ამ სკოლის მთარგმნელ-შემოქმედთათვის მისი არსებობის მთელს მანძილზე (XII-XIII). მაგრამ ამ ზოგადი კონცეფციური ერთიანობის ფონზე ლექსიკურ-გრამატიკული თუ ინდივიდუალური ენობრივი მახასიათებლებით აშკარად იკვეთება ორი ძირითადი განშტოება, რომელიც ქართული ფილოლოგიური და თეოლოგიური აზრის ორი მწვერვალის, „ყოველთა ეკლესიის განმანათლებლის“, „სჯულიერი მოღვაწის, თარგმანისა და ბერძენთა და ქართველთა ენის მეცნიერის“, არსენ იყალთოელისა და ქართული ენის „მამზევებელისა და მადღევებელის“, იოანე პლატონური ფილოსოფოსისაკენ, პეტრინისაკენ, მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. სწორედ ამ ორ მწვერვალს შორისაა განფენილი გელათის სკოლის შემოქმედ-მთარგმნელთა უმდიდრესი ნამოღვაწარი.

გელათის ფილოლოგიურ და თეოლოგიურ-ფილოსოფიურ სკოლაში შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული ფილოსოფიური ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ენა და სტილი, საფუძველი დაედო ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკურ სისტემას.

გელათში შექმნილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ძეგლების ჩვენამდე მოღწეული მცირე ნაწილის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად მიზანმიმართული იყო ამ მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობა: მათი სააზროვნო ინტერესების წრე მოიცავს იმავე **პლატონს, არისტოტელესა და „პლატონურ“ ფილოსოფოსებს** (ანუ ნეოპლატონიკოსებს), რომელთაც ასწავლიდნენ და განმარტავდნენ მიქელ პსელოსისა და იოანე იტალოსის კვატოსობის დროს მანგანას აკადემიის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

გელათში, ისევე, როგორც კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სკოლებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არისტოტელესა და მისი ალექსანდრიელი კომენტატორების ლოგიკურ ნაშრომებსა და ათენის პლატონური აკადემიის დიადოხოსის, **V საუკუნის (ნეო)პლატონიკოსის, პროკლეს** შრომებს. მათი თარგმანები და განმარტებანი, როგორც ჩანს, სახელმძღვანელოთა დანიშნულებას ასრულებდნენ ამ სკოლის მსმენელებისათვის: გელათის სკოლაშია თარგმნილი ალექსანდრიული სკოლის მამამთავრის, **ამონიოს ერმიასის** კომენტარები პორფირის ცნობილ ნაშრომზე **„შესავალი არისტოტელეს კატეგორიებისა“** (ეს ის პორფირია, რომელმაც, როგორც ნემესიოს ემესელის პეტრინისეულ თარგმანში ვკითხულობთ, *„ძვნად ქრისტესსა აღძრა თვისი სიტყუაჲ“*, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ეს შრომა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ცნობილი „ისაგოგე“-ს სახელით, სქოლასტიკური განათლების საფუძველს წარმოადგენდა) და **ამონიოსისავე კომენტარები არისტოტელეს ლოგიკურ ნაშრომზე „კატეგორიები“**. ესენია: „მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაჯსენებელი ათთა კატილორიათადმი არისტოტელისათა“. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს თხზულებანი ერთ კრებულადაა შეკრული ამავე ხასიათის ლოგიკის ცნობილი კომპენდიუმის, **იოანე დამსკელის „დიალექტიკის“** არსენ იყალთოელისეულ თარგმანთან ერთად, რომელიც მას, როგორც ჩანს, გელათში აქვს შესრულებული. ამ ორი თხზულების თარგმანის ერთ კრებულში (ხელნაწ. S-2562, რომელიც XII-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული) გაერთიანება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში.

ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ხელნაწერთა ცნობების მიხედვით, თითქოს, იოანე პეტრინს უნდა ეთარგმნოს არისტოტელეს **„კატეგორიები“** და **„პერი ერმენია“** [„მცირე უწყებანი“] რაც არ არის გამორიცხული, რადგანაც ერთგან, პროკლეს *„თეოლოგიის საფუძვლების“* „განმარტებაში“, პეტრინი „მოსწავლეს“ მიუთითებს ამ უკანასკნელზე: *„ვითარ გვსწავლია პერი ერმენიისაო“*, რაც იმას მონიშნავს, რომ გელათის სკოლაში არისტოტელეს ეს ნაშრომი ისწავლებოდა. რაც შეეხება არისტოტელეს ლოგიკური ხასიათის ნაშრომებს, რომლებიც შუა საუკუნეებში „ორგანონის“ სახელითაა ცნობილი, იოანე პეტრინი, სანამ გადავიდოდეს პროკლეს ტრაქტატის – *„ღმრთისმეტყველების საფუძვლების“* განმარტების ძირითად ნაწილზე, განიხილავს და აცნობს მსმენელებს (თუ მოსწავლეებს) პროკლეს აპოფატიკური დასაბუთების მეთოდს და მიუთითებს არისტოტელეს სწორედ ამ ნაშრომზე, რომლის გარეშეც, მისი აზრით, შეუძლებელია ლოგიკური გზით რისამე შემეცნება (*„ესე მცირედთა მიერ შემოისაზღვრა კანონი არისტოტელის „ორგანონისა“, რომლისა თვნიერ უღონო არს რაჲსავე გავონებაჲ სულისა მიერ სიტყუერისა“*). ამასთან დაკავშირებით იოანე ფილოსოფოსი მოკლედ მიმოიხილავს არისტოტელეს მიერ დადგენილ ლოგიკურ კანონე-

ბს, თარგმნის და სათანადოდ განმარტავს მათს ძირითად ცნებებსა და ტერმინებს, და იძლევა ქართულ შესატყვისებს. გარდა ამისა, თავისი ნაშრომის სხვადასხვა თავში იოანე პეტრინი, შემეცნების პროცესის ანალიზისას თუ ონტოლოგიის საკითხთა განხილვისას, ვრცლად ჩერდება ხოლმე სათანადო ლოგიკურ-ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებაზე მსმენელთა და მოსწავლეთათვის „გასაგონად“<sup>6</sup>

სახელმძღვანელოს დანიშნულებას ასრულებდა აგრეთვე გელათის სკოლის მსმენელებისათვის ნემესიოს ემესელის ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური ხასიათის ნაშრომის, „**ბუნებისათვის კაცისა**“-ს თარგმანი. მისი ხელნაწერის მინაწერიდან ირკვევა, რომ „*ელლადელთა ჴმათაგან გარდამოიცა ესე ქართულად საკრველისა ფილოსოფოსისა ჩუენისა, პეტრინისა მიერ იოანედ სახელდებულისა, კელლისა შინა გაენათისასა*“ [ნემესიოსი, ს. გორგაძე, 1914: XIV სქოლიო-3].

ონტოლოგიურ საკითხებთან ერთად, გელათის სკოლის მოღვაწეთა მორალურ-ეთიკური საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამოხატველია იოანე სინელის ტრაქტატის „**კლემაქსის**“ („სათნოებათა კიბის“) რამდენიმე თარგმანი, შესრულებული ამ სკოლის მოღვაწეთა მიერ პროზაულად: **პეტრე გელათელის** მიერ ფოტი პატრიარქის კომენტარებითურთ, ასევე, ორი სხვადასხვა მთარგნელის მიერ: ერთ-ერთ მათგანად, გალექსილი სახით თარგმანის შემსრულებლად იოანე პეტრინია მიჩნეული [ლოლაშვილი ი., „სათნოებათა კიბე“, 1868]. ეს თხზულებანიც სასწავლო-დაქტიკური დანიშნულებით გამოიყენებოდა: განსაკუთრებით გალექსილი ვარიანტები, დასამახსოვრებლად მარჯვე და მოხერხებული.

მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გიორგი ამარტოლის „**ხრონოლოგია**“ და იოსებ ფლავიოსის „**იუდეობრივი დასაბამსიტყუაობა**“, რომელთაგან პირველის თარგმანი არსენ იყალთოელს ეკუთვნის, ხოლო მეორისა – ტრადიციით იოანე პეტრინს მიენერება, მაგრამ სინამდვილეში სხვა გელათელი მოღვაწის შესრულებული ჩანს, შესაძლებელია, პეტრე გელათელისაც, რომლის პროზაული „**კლემაქსიც**“ ენობრივი მონაცემებით ძალიან ახლოს დგას ამ უკანასკნელ თარგმანთან.

მაგრამ გელათის მოღვაწენი მხოლოდ სასკოლო კომპენდიუმების თარგმნითა და შედგენით როდი კმაყოფილდებოდნენ. გელათის სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეგზეგეტიკურ ლიტერატურას – როგორც ფილოსოფიური, ისე ბიბლიური ეგზეგეტიკის თარგმნას, შესწავლასა და დამუშავებას; ასევე, ელინური და ელინისტური ხანის ფილოსოფიური აზრის დამუშავებას; ამავე დროს, ორიგინალური კომენტარული ხასიათის ლიტერატურის შექმნას, როგორც სასწავლო-პრაქტიკული, ისე მეცნიერული დანიშნულებისათვის: ეს იყო მარჯვე საშუალება თავისთავად წმინდა

6 ვრცლად: მელიქიშვილი დ., 2011: 110-125.

ფილოსოფიაში დახელოვნებისათვის. გარდა ამისა, ეს იყო ქრისტიანული მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლების ძიების გზა.<sup>7</sup>

როგორც ჩანს, გელათში გათვალისწინებული იყო ბიბლიური (როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის) თხზულების ბიზანტიელ ავტორთა განმარტებებისა თუ ე.წ. „ღლაფკრათა“ თარგმნა და ამის საფუძველზე სრული ბიბლიური ეგზეგეტიკური კრებულის შედგენა. სამწუხაროდ, ამ სკოლაში შესრულებულ განმარტებათა თარგმანებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ნაწილმა: კ. კეკელიძის მიერ „**მიტროფანე, ზმკრნელი მიტროპოლიტის**“ „**ეკლესიასტეს**“ ტექსტის განმარტებამ [კეკელიძე კ., 1920] და ამავე ტექსტის ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის თარგმანებამ; ასევე, XI საუკუნის ბიზანტიელი ეგზეგეტი-მწერლის, **თეოფილაქტე ბულგარელის** (ოხრიდის ეპისკოპოსის) მიერ „**ბრძანებითა მარიამ-მართა დედოფლისაჲთა**“ შესრულებულმა მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებათა განმარტებებმა [Jer. 22, A-102, A-113, A-52; იხ. გამოცემები: ცქიტიშვილი, 2010; სარჯველაძე, 2010] (ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში ბიბლიური (კიმენური) ტექსტი ახალ გელათურ თარგმანს წარმოადგენს (მათგან მარკოზისა და ლუკას სახარებათა მთარგმნელად ხელნაწერებში იოანე ჭიმჭიმელია დასახელებული).

გელათშია თარგმნილი უცნობი ბიზანტიელი ეგზეგეტის განმარტება „**ქებათა ქებათაჲსა**“, სქოლიოების სახით, მიქაელ პსელოსის განმარტება რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს ერთი ადგილისა, რომელიც ეხება მაცხოვრის „**მრავალთა შორის ძმათა პირმშოდ**“ სახელდებას [პირმშ., 1966: VIII, 29, 23];

გელათშივეა შექმნილი ქართული ხელნაწერი ტრადიციისათვის უნიკალური ეგზეგეტიკური კრებული ე.წ. „**კატენებიანი ბიბლია**“, რომელიც შეიცავს ძველი აღთქმის ტექსტის ახალ, გელათურ თარგმანებსა და რედაქციებს მარგინალებზე განლაგებული განმარტებებითურთ.

სამწუხაროდ, ჟამთა სიავსე გადარჩენილი ამ ეგზეგეტიკური კრებულის ორივე ხელნაწერი, რომელთაგან კარგი კალიგრაფის ხელით გადანერვილი Q-1152 უნდა მომდინარეობდეს A-1108 ავტოგრაფული ნუსხიდან, რომელიც გაკრული, ე.წ. „მეცნიერის“ ხელითაა დანერილი, ჩვენამდე არასრულადაა მოღწეული და ამიტომ მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს გელათში შესრულებულ სამუშაოს, რომლის ერთი ნაწილი, დანადგვილებით რვანინგნეულის ტექსტისა და მისი კომენტარების თარგმანებს შეიცავდა, მეორე ნაწილი კი დიდი და მცირე წინასწარმეტყველების ტექსტებს და მათს კომენტარებს. ორივე ხელნაწერი ნაკლულია: დაკარგულია დაბადებისა და გამოსვლათას წიგნები;<sup>8</sup> ხოლო A-1108-ში დაცული, პირველი ნაწილისაგან ოდნავ განხვავებული, ნვრილი, კუთხოვანი მოყვანილობის კალიგრაფიით

7 ვრცლად: მელიქიშვილი დ., 1988: 35 და შმდგ.

8 „გამოსვლათას“ კიმენური ტექსტის გელათური თარგმანი შემოინახა 1669 წ-ს გადანერილმა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულმა – 179 ხელნაწერმა.

შესრულებული წინასწარმეტყველთა წიგნები ძლიერაა დაზიანებული. თუ რვანაწიგნეული უხვადაა დატვირთული კომენტარებით, ესაიას, იერემიას (ბარუქითურთ) და ეზეკიელის წიგნებს წინასწარმეტყველთა ცხოვრებები უძღვის წინ და კანტიკუნტად ახლავს კომენტარები; მცირე წინასწარმეტყველებს კი კომენტარები საერთოდ არა აქვს.

განმარტებათა ექსცერპტების ავტორთა (მათი სახელები აშიაზეა მიწერილი სინგურით) ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს ამ ძეგლის მთარგმნელების, რედაქტორისა და გადამწერების სითამამე: ეკლესიის ბურჯების გვერდით, როგორცაა ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, ევსევი კესარიელი და სხვა, განმარტებათა ექსცერპტების გასწვრივ არაერთხელაა აღნიშნული სახელები მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მსოფლიო კრებებზე დაგმობილი ორიგენეს, სევეროსისა და აპოლინარისა. ეს უკანასკნელი ის აპოლინარია, რომელსაც ეფრემ მცირე „უბარდრუკს“ უწოდებს, ხოლო ნემესიოსის პეტრინისეული თარგმანის ერთ-ერთი ნუსხის აშიაზე მისი წვალების ტექსტისავე ხელით მინაწერში ვკითხულობთ: „*ისმინე, რომელ ესე აპოლინარი, ეპისკოპოსი არს ლაოდოკიისა, რომელი წვალებს ქრისტესტვს, ვითარმედ კაცობრივი გონება არად სავმარ-იყო ქრისტესტვს, რამეთუ თვთ ღმრთეება ენაცვალო*“). საგანგებოდაა აგრეთვე აღსანიშნავი ისიც, რომ ყველაზე მეტი ციტატაა დამონმებული კირილე ალექსანდრიელის თარგმანებათა და თეოდორიტე კურელის კითხვა-მიგებათაგან (თეოდორიტე კურელის ექსცერპტების რაოდენობა, როგორც ბოლო დროს დაადგინა ვ. ჯუღელმა, 185-მდეა), სწორედ იმ თეოდორიტე კურელისა, რომლის „დავითნის“ თარგმანებასაც თავის დროზე ეფრემ მცირემ აარიდა თავი „*მცირედისა მის სიტყვს-გებისა, რომელი იქმნა რეცა წინააღმდეგობით შორის მისსა და წმიდისა კურილესსაო*“. სქოლიოებში იშვიათად ფიგურირებს უმცროსი მთარგმნელების – აკვლას, სვმასოსისა და თეოდოტიონის სახელებიც – სამეულისა, რომელმაც, როგორც ცნობილია, ბერძნული თარგმანი ძველი აღთქმის ტექსტისა ზედმიწევნით დაუახლოვა ებრაულ დედანს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმცროს მთარგმნელთა სქოლიოები სისტემატურად გამოტოვებულია ქართულ თარგმანში და თითქმის მხოლოდ იმ შემთხვევებში გვხვდება, როდესაც მათი ციტატები სხვა ავტორების (უმეტესად, თეოდორიტეს) კომენტარებშია ჩართული. უმცროს მთარგმნელთა ფილოლოგიური სქოლიოების გამოტოვება იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ფილოლოგიური სქოლიოები გელათის სკოლის თემატიკას არ შეესაბამებოდა.

**გელათის კატენებიანი ბიბლია** მრავალმხრივია საინტერესო და საყურადღებო ქართული ენის, მწერლობისა თუ ფილოსოფიისა და თეოლოგიის ისტორიის მკვლევართათვის. როგორც ჩანს, ის ანტიოქიური სკოლის კატენებიანი ბიბლიის კრებულის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს: კიმენ-სქოლიოდ აღნაწერი ორივე ქართული ნუსხა ზუსტად ასახავს და

მისდევს ამ ტიპის ბერძნული კრებულების ხელნაწერთა ფორმას.<sup>9</sup> მასში თავმოყრილია და კონცენტრირებული ის ძირითადი მსოფლმხედველობრივი თუ ენობრივ-სტილისტური ტენდენციები და განხორციელებულია პრაქტიკულ-მთარგმნელობითი პრინციპები, რომლებიც, საზოგადოდ, დამახასიათებელია გელათის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლისათვის და მის სახეს განსაზღვრავს. იგი შესრულებული უნდა იყოს მთარგმნელთა ჯგუფის მიერ, ერთი მთავარი რედაქტორ-მთარგმნელის საერთო ხელმძღვანელობით [მელიქიშვილი დ., 2017: 129-183]. A-1108 ავტოგრაფულ ნუსხაში შესანიშნავად ჩანს ამ რედაქტორ-მთარგმნელის მუშაობის მეთოდი და სტილი, მისი მთარგმნელობითი პრინციპების პრაქტიკული განხორციელების პროცესი [მელიქიშვილი დ., 1987: 201-210]. ეს ძეგლი, გელათში შესრულებული კომენტარული ჟანრის სხვა შრომებთან ერთად, ამ სალიტერატურო სკოლის მთავარი მიმართულების დამაგვირგვინებელია.

გელათში გადმოუღიათ თეოდორიტე კურელის ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულება „თარგმანება მიქეაჲს წინასწარმეტყუელისა (K-1) და ამოსისა“ (K-3), აგრეთვე თარგმანებანი ზაქარია, ამბაკუმ და სოფონიასი (K-4, K-5). მოსალოდნელია, რომ ეს თარგმანები ეგზეგეტიკური თხზულებებისა იყო იმ საერთო საქმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობდა ბიბლიის ყველა წიგნის ეგზეგეტიკური კრებულის შექმნას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **მაქსიმე აღმსარებლის დოგმატურ-ეგზეგეტიკური ხასიათის კრებულს**, რომელიც შემონახულია გელათურ K-14 ნუსხით. ის გელათის კატენური კრებულის მთარგმნელთა ჯგუფიდან უნდა იყოს გამოსული [იხ. ქვემოთ, თავი: „მთარგმნელთა იდენტიფიკაციისათვის“; ასევე, მელიქიშვილი 2017: 178-179]; კ. კეკელიძეს მთარგმნელად მიაჩნია წმ. თამარ მეფის დროის კათოლიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე [კეკელიძე კ., 1960: 322];

ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებებიდან აღსანიშნავია ასევე, პეტრინის „განმარტების“ ე.წ. „ბოლოსიტყვაობა.“ როგორც ტექსტის ანალიზი გვარწმუნებს, მისი დიდი ნაწილი წარმოადგენს ექსცერპტებს „ფსალმუნთა“, მოსესა და „მოსეანთა“ წიგნების განმარტებებიდან: წმ. სამების, განგების, კეთილობის, ბოროტის უარსობისა და მყოფთა წარმოშობის საკითხების გაშემო და არის ცდა ამ პრობლემებზე ქრისტიანულ თვალსაზრისთან თანხმობის ძიებისა „*ფილოსოფოსთა დღის მწვერვალის*“ და პლატონის დიალოგებსა და პროკლეს კომენტარებში ამ დიალოგებზე. მასში შედის, აგრეთვე, მასალები, ამოკრეფილი გრამატიკის საკითხებზე ბიზანტიელ კომენტატორთა ნაშრომებიდან, ნაწყვეტები წმ. გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილი დიდის ეპიტაფიიდან“ (რიტორიკის ფილოსოფიისა და

<sup>9</sup> გელათის ბიბლიის დედნების შესახებ ვრცლად იხ. **ანა ხარანაული**, გელათის კატენებიანი ბიბლია და მისი ბერძნული პროტოტიპები I, ბიზანტინოლოგია საქართველოში – 3, 2011: 771-796; **ანა ხარანაული**, გელათის კატენებიანი ბიბლია და მისი ბერძნული პროტოტიპები, ბიზანტინოლოგია საქართველოში – 4, 2015.

გრამატიკოსების შესახებ) და დასაწყისი სოლომონის „იგავთა“ ბასილი დიდის განმარტებებისა [ვცლად: მელიქიშვილი დ., 2016: 99-118].

გელათის სკოლის ნამუშავეთაგან გამორჩეულია **დოგმატურ-პოლემიკური თხზულებების კრებული „დოგმატიკონი“**, რომლის მთავმწიფისა და შემდგენელ-რედაქტორის, გელათის სკოლის დიდი მოღვაწის, არსენ იყლოთელის სახელი, საბედნიეროდ, შემონახულია დღემდე მოღწეულ ხელნაწერებში, რომელთაგან უძველესია S-1463: „ლოცვა ყავთ, მამანო და ძმანო, არსენისთვის, თარგმანისა და დავითისთვის, პეტრწონელიისა, მონაზონ-ხუცსა, რომლისა იძულებთა ბერძულისაგან გადმოუქართულებიან **ესე თავნი სომეხთა განმაქიქებელნი. საუკუნომცა არს წსენებაჲ არსენისი, ამინ**“ [S-1463, 264v];

როგორც ჩანს, ამ პერიოდში საერთოდ და, კერძოდ, გელათის სკოლაში, მიღებული იყო წესი გარკვეული საკითხის გარშემო პატრისტიკული თუ სხვა წყაროებიდან საჭირო მასალის ამოკრებისა და ამ ექსცერპტებისგან კრებულების შედგენისა. ასე, მაგ., სულის საკითხთან დაკავშირებით („გამოძიება სულისათვის“) არსენის „დოგმატიკონის“ ხელნაწერებში შეტანილია მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის სიტყვებიდან გამოკრებილი ფრაგმენტები, რომლებიც სულის შესახებ ელინთა მოძღვრების განქიქებას ეხება. იგივე „დოგმატიკონი“ შეიცავს ციტატებს თორმეტი საეკლესიო მამის თხზულებათაგან (მათგან აღსანიშნავია ირინეოსი, კლიმენტი, ათანასე და კირილე ალექსანდრიელი და სხვ.) კრებულში 16 უმნიშვნელოვანესი დოგმატური ხასიათის თხზულებაა შეტანილი, მათ შორისაა წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის“, და „წვალებათა შესახებ“, ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, ნიკიტა სტითატის ანტიმონოფიზიტური სიტყვები [დოგმატიკონი, ტ I, 2015; ტ. II, 2013; [რაფავა, კასრაძე, ჩიკვატია 2013; ჩიკვატია, რაფავა, შენგელია 2015; მრაფავა მ. , „ნიკიტა სტითატის ანტიმონოფიზიტური სიტყვები“, 2013].

წმ. დავით მეფის ზეობის დროს რუის-ურბნისის კრების ახლო ხანს უნდა თარგმნილიყო ფოტი პატრიარქის თოთხმეტტიტლოვანი **„დიდი სჯულისკანონი“**, რომელიც, ხელნაწერთა მოწმობით, არსენ იყლოთელს უთარგმნია. მასვე უნდა ეკუთვნოდეს ქართული კანონიკური თხზულებაც – **„რუის-ურბნისის ძეგლისწერა“**, რომელიც დაერთვის „დიდი სჯულის კანონის“ გამოცემას [დიდი სჯულის კანონი, 1975]

გელათში ითარგმნა ბიზანტიური აგიოგრაფიის უკანასკნელი ნიმუშებიც და სკემონ ლოლოთეცისა და იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული შრომები. შემთხვევითი არ არის, რომ ისინი გელათური ხელნაწერების კოლექციაშია დაცული. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ქსიფილინოსის კრებულთა დამთავრდა ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ისტორია, „**ვინაიდან თვით ბიზანტიის აგიოგრაფიის ისტორიაც მეტაფრასული პერიოდით დამთავრდა, X-XII საუკუნეების შემდეგ იქაც ახალი არაფერი აღარ გაკეთებულა**“ [კეკელიძე კ., 1960: 506-507].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ცენტრალიზებული მონარქიის გაძლიერებამ (ისევე, როგორც ბიზანტიაში კომუნების მმართველობის ხანაში), დავით აღმაშენებლისა და, განსაკუთრებით, გელათის სკოლის არსებობის მეორე პერიოდში – თამარის ეპოქაში, საერო-სახოტბო და საისტორიო-პანეგირიკული ხასიათის ბრწყინვალე ლიტერატურა წარმოშვა. მისთვის დამახასიათებელია ზვიადი ორნამენტული სტილი, რაც ბუნებრივად ასახავდა ძლიერი მონარქიის ეპოქის საერთო ტენდენციებს და კომუნების ხანის ბიზანტიაში მიმდინარე კულტურულ-მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული პროცესების კანონზომიერ გამოძახილს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში თვით ბიზანტიის სამონასტრო თუ საერო განათლებისა და სამეფო ლიტერატურულ წრეებში შექმნილი მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ ისტორიულ-მემუარული ჟანრის ლიტერატურის საფუძველზე ჩამოყალიბებული მეცნიერული ენა, ბერძნული სამწერლობო ენა, რომელზედაც წერდნენ ელინისტურსა და რომაულ ეპოქაში, უკვე საკმაოდ დაცილებული იყო სალაპარაკო ენას და ამიტომ, ბუნებრივია, იქცა ხელოვნურ ენად, რომელზედაც სწავლულნიც კი აღარ ლაპარაკობდნენ: მძიმე და ბნელ სტილად, ხელოვნურად გაზვიადებულ და „მოგონილ და ნანვალვებ“ ენად თვლიან დიონისე არეოპაგელის ენას; ხელოვნურად ითვლება ზუსტი, სისტემურად დამუშავებული ფილოსოფიური ენა პროკლე დიადოხოსისა; კიდევ უფრო რთულია ენა მაქსიმე აღმსარებლისა: გრძელი, ჩახვეული პერიოდები, განელილი, თხზული სიტყვები, სინონიმური გამოთქმების ნაკადი, ლექსიკურ ახალწარმოებათა მოზღვაება, სპეციფიკური სიტყვანარმოების სფეროს გაფართოება, აღმატებითი ხარისხის ფორმების მოძალება, მიმღებური კონსტრუქციების სიჭარბე... [მელიქიშვილი დ., 1988: 86-91 და შმდ.].

ყოველივე ეს ახასიათებს იმ პერიოდის ქართულ მეცნიერულ ენასაც, რომელიც ბერძნულიდან თარგმნის პროცესში ყალბდებოდა: იოანე პეტრინი, ისევე, როგორც მისი დროის გელათელი მწიგნობრები, იძულებულნი იყვნენ ზუსტად მიჰყოლოდნენ სათარგმნი ბერძნული ფილოსოფიური ტექსტის სპეციფიკურ, ქართულისათვის უცხო ენობრივ სტრუქტურა-კონსტრუქციებს, ცდილობდნენ, ზუსტად ეთარგმნათ ქართული ენობრივი ცნობიერების სამყაროსათვის სრულიად ახალ ცნებათა გამოხატველი ტერმინოლოგია, რათა რაც შეიძლება სწორად, და ამავე დროს, გასაგებად გადმოეცათ ტექსტის შინაარსი. ამ სიძნელეებთან დაკავშირებით მეტად საინტერესო და საყრადღებოა იოანე პეტრინის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი შენიშვნა: „სხუათა ამათ ზედამოწსენებულთა ესეცა დაეთანაა, რამეთუ ჩუჴსლება არს ჩუჴნდა ადვილთა და ჩუჴულთა სათარგმანოთა თხზვად და მორთვად ენისად, არამედ ძნელთა შორის გონებითთა და ფილოსოფოსთასა ყოველსა სილიტონესა და თანმყოლასა ენისაებრსა ვემხარკები დადებად, ვიდრე სადამდის მეტითა სილიტონითა დაშლად და

გნებზე გონებასა არ შეემთხუვდის, რამეთუ ყოველი ჰაზრი ჩემი მათ შორის გონებისა და ხედვისათვის არს – ანუ-და სიტყვერებითი იყოს, გინა-და სწავლულებითი, ანუ-და ბუნებითი და ღმრთსმეტყუშელებითი, – ვითავე ამას წინადათ ნემესიოჲს წიგნისა შინა მებარკა!“ [იოანე პეტრინი II, 1937: 222]. როგორც ჩანს, მიმღეობური – „ეკონომიური“ – კონსტრუქციების სიჭარბე აქვს მხედველობაში „კალმასობის“ ავტორს, როდესაც იოანე პეტრინის ენას ასე ახასიათებს: „ამან... იმეცადინავა შემოკლებად ქართულისა ენისა მსგავსად ელინურისა ენისაო“ [მცირე უწყ., 1968: 18].

გელათის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენელია **იოანე ტარიჭისძე, ამონიოს ერმიასის** ლოგიკური კომპენდიუმის მთარგმნელი; იოანე ჭიმჭიმელი – ზოგი ხელნაწერის ცნობით, თეოფილაქტე ბულგარელის ლუკასა და მარკოზის სახარებათა განმარტებების მთარგმნელი [A-284; A-113]; გელათის სკოლა აქვს გავლილი პეტრე გელათელს, არსენ ბულმაისიმისძეს, ნიკოლოზ გულაბერისძეს, იეზეკიელს...

თავისი განათლებულობისა და ენობრივი სტილის მიხედვით, გელათის სკოლიდანაა გამოსული **დავითის ისტორიკოსი**, მაღალმხატვრული პროზისა და რიტორიკული მეტყველების ეს დიდოსტატი [შანიძე მ., „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 1992];

მეცნიერული ენის კვალს გაჰყვა სტილიზებული მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ენაც – როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში (მაგ., ბიზანტიაში „*ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისა*“, მიქელ პსელოსის „*ხრონოგრაფია*“; საქართველოში – დავით აღმაშენებლის ისტორიის ავტორი, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი; მეხოტბენი – იოანე შავთელი და ჩახრუხაძე...

დაბოლოს, ამ სკოლის მსმენელი უნდა ყოფილიყო ქართული ესთეტიკური აზრისა და პოეზიის მწვერვალი – შოთა რუსთაველი, რომლის „ვეფხისტყაოსნშიც“, ერთი მხრივ, ენის გახალხურება, ბერძნული იამბიკური წყობის ნაცვლად ლექსის ქართული ხალხური საზომით, თექვსმეტმარცვლიანი შაირით გამართვა, მეორე მხრივ კი, ელინური სააზროვნო-ფილოსოფიური ენის გადმოქართულება და შეთვისება – გელათის ნოვატორული ტენდენციების გაგრძელება და ბრწყინვალე დაგვირგვინებაა [მელიქიშვილი დ., ს 2009: 297].

\* \* \*

ამგვარად, გელათის სკოლის სააზროვნო ინტერესები, მისი მიმართულება, ლიტერატურული პროდუქციის ხასიათი და თემატიკა გვიჩვენებს, რომ გელათის მოღვაწენი ადგნენ იმ მაგისტრალურ ხაზს, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთის აზროვნებამ გააგრძელა მას შემდეგ, რაც ბიზანტია ასცდა კულტურულ-სამეცნიერო სარბიელზე მისსავე გაკვალულ გზას. ეს პერიოდი ბიზანტიური და, ასევე, ქართული აზროვნების ისტორიაში ხასიათდება არისტოტელეს ლოგიკისა და პლა-

ტონიზმის (მისი ნეოპლატონური ფორმით) საეკლესიო სწავლებასთან დაკავშირების ცდებით, დიდი მისწრაფებით, ამ ფილოსოფიის საშუალებით გადაეჭრათ თანდათანობით მომნიჭებული ონტოლოგიური საკითხები, საღვთო ბუნებისა (არსებისა) და გვამოვნების (პირის) პრობლემა. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდის ბიზანტიელ მოღვაწეთა შორის ზოგი პლატონს განადიდებდა (მაგალითად, მიქელ პსელოსი) ზოგი კი არისტოტელეს აღიარებდა დიდ ავტორიტეტად (მაგ. იოანე ქსიფილინოსი, რომლისთვისაც პლატონის განდიდება საძრახავ საქმედ ითვლებოდა). იმ დროისათვის ბიზანტიაშიც, ისევე, როგორც საქართველოში, ასეთი დაპირისპირება განვლილი ეტაპი უნდა ყოფილიყო: თუ ადრე ბიზანტიის სკოლებში ჩვეულებრივ ფილოსოფიურ მიმდინარეობად არისტოტელიზმი ისწავლებოდა, ახლა გზას იკაფავდა და ძლიერდებოდა პლატონიზმი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, თითქოს, არისტოტელე უგულველყოფილი იყო. პსელოსი და იტალოსი არისტოტელესთან ერთად პლატონსა და მის „მონაცვალეს“, პროკლეს განადიდებენ (ანა კომენენე განსაკუთრებით აღნიშნავს თავის გატაცებას სწორედ არისტოტელეს შრომებით). საქართველოში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ასეთი დაპირისპირება „არისტოტელიანთა“ და „პლატონიელთა“ შორის. ჩვენში, როგორც ჩანს, ის ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა არისტოტელიზმსა და პლატონიზმს შორის შუა საუკუნეებში, გამოვლინდა მათ მორიგებაში ანუ, როგორც ამბობენ, „სიმფონიაში“ ნეოპლატონიზმის ნიადაგზე. ამიტომაც, რომ გელათში მთავარი აქცენტი სწორედ „ნეოპლატონურ“ თხზულებათა თარგმანსა და კომენტირებაზე იყო მიმართული (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მთელი შუა საუკუნეების ფილოსოფია არსებითად ნეოპლატონიზმს წარმოადგენდა).

აღსანიშნავია, რომ სწორედ ის წრე ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა ნაშრომებისა ლათინურ ენაზე გელათში შესრულებულ თარგმანებზე ერთი საუკუნის შემდეგ ითარგმნა: ასე, მაგალითად, დამასკელის „**დიალექტიკა**“ ლათინურად XII საუკუნის მეორე ნახევარში ითარგმნა; **ნემესიოს ემესელის** უადრესი თარგმანი იმავე ხანებში (1194 წ.) არის შესრულებული რიხარდ ბურგუნდიოს მიერ; პროკლეს „**თეოლოგიის საფუძვლები**“ კი თომა აქვინელის დავალებით მისმა მდივანმა, მოერბეკემ, 1268 წლის მახლობლად თარგმნა (და ამის შემდეგდა შევიდა იგი ევროპული აკადემიების – იტალიაში – პლეთონისა და საფრანგეთში – შარტრის სასწავლო კომპენდიუმებში). როგორც ცნობილია, ევროპული სქოლასტიკის ამ უდიდესმა წარმომადგენელმა, პროკლეს ეს ტრაქტატი არისტოტელეს „ორგანონთან“ ერთად საფუძვლად დაუდო თავის თეოლოგიურ მოძღვრებას, ხოლო თვით პროკლე გამოაცხადა ეკლესიისათვის საჭირო ფილოსოფოსად. შუა საუკუნეების ევროპულ სამონასტრო სკოლებში წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და ამონიოს ერმიასის კომენტარების შემოკლების სა-

ფუძველზე შესრულებული კომპენდიუმები იყო გამოყენებული სახელმძღვანელოებად.

გელათში მოღვაწე ქართველი თეოლოგები, ისევე, როგორც შუა საუკუნეების ბიზანტიელი და ევროპელი თეოლოგები, ეყრდნობოდნენ პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიას და მათ კომენტატორებს – ნეოპლატონიკოსებს, რომლებიც ამ ორი ფილოსოფოსის ნააზრევის შეხამებას და თავისებურ გაგებასა და გადამუშავებას იძლეოდნენ. დასაბუთების იარაღად ისინი იყენებდნენ არისტოტელეს „ორგანონის“ კანონებს, პლატონი და პროკლე კი მათ სჭირდებოდათ დიალექტიკური პოლემიკის ჩვენებისა და მისი ფილოსოფიის ნეოპლატონური ფორმით ქრისტიანობის მეცნიერული საფუძვლების შესამუშავებლად. გარდა ამისა, პროკლე და საერთოდ ნეოპლატონიზმი იყო მნიშვნელოვანი წყარო ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ცნებათა და ტერმინთა სისტემატიზაციისათვის: იოანე პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონური ფილოსოფიისათვის“ – ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს: სწორედ ამ თხზულებათა თარგმანისა და კომენტირების საფუძველზე დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სტრუქტურები და სისტემა გელათელ სწავლულების ღვაწლითა და შრომით. ეს მოაზროვნეები ეყრდნობოდნენ იმ ფილოსოფიას, რომელიც დაფუძნებული იყო შუა საუკუნეების სკოლებში, სადაც დამასკელის „დიალექტიკას“ (ანუ არისტოტელედან მომდინარე ლოგიკას დამასკელის გადამუშავებით) უმთავრესი ადგილი ჰქონდა დათმობილი იმ საგანთა შორის, ტრივიუმისა და კვადრივიუმის სისტემაში რომ მოიაზრებოდა.

**ყოველივე ზემოთქმულს მხარს უჭერს სიმონ ყაუხჩიშვილის ზემოთ დამონშებული გამოკვლევა, რომელიც მან მიუძღვნა გელათის აკადემიას, როგორც ბიზანტიური ტიპის შუა საუკუნეების დიდ საგანმანათლებლო კერას.** ამ ნარკვევში მან იოანე პეტრიწის „თეოლოგიის საფუძვლების განმარტების“ და ბოლოსიტყვაობის ტექსტის ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ გელათში არსებობდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც სწავლება აგებული უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი განათლების სისტემის – ტრივიუმ-კვადრივიუმის მეთოდის მიხედვით; ეს თავისთავად გულისხმობდა შესაბამისი საგნებისათვის (რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია ლოგიკითურთ, მათემატიკა, გეომეტრია, მუსიკა, ასტრონომია) სასწავლო კომპენდიუმების შედგენას [ყაუხჩიშვილი ს., 1948; ასევე, ყაუხჩიშვილი ს., 1937: XII-II].

**ამგვარად, გელათის აკადემია წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს ბიზანტიურ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობისა და ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრის განვითარების გზაზე. იგი იყო შუა საუკუნეების „სქოლასტიკური“ (ამ სიტყვის მაღალი გაგებით), საგანმანათლებლო კერა, რომელიც წარმოადგენდა XI-XII საუკუნეების ბიზანტიური თეოლოგიურ-ფილოსოფიური სააზროვნო გარემოს პროე-**

ქციას ქართულ ნიადაგზე და იდგა ამ მაგისტრალურ გზაზე, რომელსაც უფრო მოგვიანებით გაჰყვა ევროპული მაღალი სქოლასტიკა. მაგრამ, მიუხედავად თავისი დიდი მისწრაფებებისა და მის მიერ შექმნილი უზარმაზარი ლიტერატურული პროდუქციისა, ეს იყო პატარა კუნძული – ჩიხი, რომელმაც ბიზანტიის დაცემის (1453 წ.) შემდეგ თავისი მძიმე გეოპოლიტიკური ვითარების გამო კავშირი ველარ დაამყარა ევროპულ კულტურულ სამყაროსთან და ამიტომ ვერ ჩაერთო და ვერ გამთლიანდა იმ საერთო პროცესში, რომელიც ევროპული რენესანსის სახელითაა ცნობილი.

სწორედ ღაზჩა მონასტრის სმარაზაჯი ჩემი ზე სმარაჯე შვიდთა ჩემთა აქს რაყდად, და წარმოცა მისთავის ცტრ- ვინი სმარადისოჲ.

აწ შვიდმან ჩემმან მეფემან დი- მიტრი სრაყდ აწოს აწოდრითაწრთ საყაყანოდ ჩემთავის და მისთავის და მომადრთა ჩემთათვის, რომდენი მი- მიცემიან, მისგან ნაწრას მოადრეს.

დავით აღმაშენებლის ანდერძი

## თავი II. ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტიპოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზაზე

### 1. ათონიდან გელათამდე

ტერმინოლოგია სპეციალური დანიშნულების ენაა, რომელიც მოწესრიგებული ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობით ხასიათდება. მეცნიერული ენის მთავარ სპეციფიკას სწორედ სპეციალური ტერმინები ქმნიან. ენაში არსებული სიტყვანარმოების ზოგადი პრინციპების ერთიანობასთან ერთად ისინი ამა თუ იმ დარგის მეცნიერული ენის ლექსიკურ შედგენილობას პრინციპულად განასხვავებენ, ერთი მხრივ, ერთმანეთისაგან, და მეორე მხრივ – საერთო ლიტერატურული ენის ლექსიკისაგან. ნებისმიერი მეცნიერული, და, მაშასადამე, ფილოსოფიური ცნების შემუშავება აუცილებლად გულისხმობს მისთვის ადეკვატური ტერმინის შერჩევასა და შექმნას, რადგანაც, სანამ ცნებას არა აქვს მოპოვებული თავისი საკუთარი დასახელება-ტერმინი, მას აკლია გარკვეულობა, ხოლო, თავის მხრივ, განსაზღვრული ტერმინი მეცნიერული ცნების მომნიშვნას უწყობს ხელს და, ამდენად, თვით ამ მეცნიერების განვითარებასაც. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიის განვითარების დონე პირდაპირი მაჩვენებელია ამა თუ იმ მეცნიერული დარგის განვითარების დონისა. ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემური დამუშავება წინაპირობა იყო ფილოსოფიური თხზულებების შექმნისა და თარგმნისათვის, ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

XI-XII საუკუნეები, „ელინოფოლური“ მიმართულების ხანა ქართული თარგმანის ისტორიაში, გამოირჩევა ცნებითი ღირებულების მქონე ლექსიკის აქტიური შემოქმედებით. ამ ხანისათვის დამახასიათებელმა ინტერესმა ეგზეგეტიკისადმი – როგორც ბიბლიური ტექსტების, ისე ელინური და ელინისტური ხანის ფილოსოფოსთა ნაშრომების კომენტარებისადმი, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურის მიზანდასახულმა თარგმნა-დამუშავებამ მოითხოვა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხედვისა და აზრის ზუსტად გადმოცემა, ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა ზუსტი ქართული შესატყვისების დაძებნა და წარმოება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა.

ქართული სამეცნიერო-ფილოსოფიური ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ პროცესს შეიძლება თვალი გავადევნოთ პირველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული, V საუკუნიდან. სხვადასხვა ჟანრის ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურაში მრავლად გვხვდება ცალკეულ ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ საბუნებისმეტყველო ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინები. მაგრამ ეს ტერმინები სხვადასხვა

დროსა და სხვადასხვა ავტორების მიერ იქმნებოდა და მოითხოვდა ერთ ფორმალურსა და სემანტიკურ სისტემაში მოქცევას, რაც თავისთავად გულისხმობდა სინონიმისა და პოლისემიის საკითხის მოგვარებას ამ სისტემის ფარგლებში: საქმე ისაა, რომ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დროსა და ადგილას შექმნილ ძეგლებში ერთი და იმავე ცნებისათვის სხვადასხვა ლექსემა იყო გამოყენებული: მაგ.  $\sigma\tau\iota\chi\epsilon\iota\sigma$  – **ნესი, ნივთი, ასო, აგებულება, ბუნება, სტუქისი...** [იხ. მელიქიშვილი დ., 1968, გვ. 150; მისივე, 1976, გვ. 137; თ. ცქიტიშვილი, 1986, გვ. 111] და პირიქით, სხვადასხვა ცნებისათვის – ერთი ლექსემა (მაგ. „გონება“ – იხმარებოდა „გონების, აზრის, ჭკუის, ცნების, სულის, ფიქრის, ჩვეულების, სინდისის“ მნიშვნელობით [ენუქაშვილი რ., 1987: გვ. 211].

XI-XII საუკუნეთა მთარგმნელები მეტად რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ: სხვა სიძნელებთან ერთად ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო იყო პოლისემიისა და სინონიმის თავიდან აცილება, სირთულეს იწვევდა ისიც, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თვით კლასიკურად დამუშავებულ ბერძნულ ფილოსოფიურ ენაშიც არ იყო დაძლეული ტერმინოლოგიური სიჭრელე, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდათ მათს კომენტატორებსა თუ მთარგმნელებს, მათ შორის, ქართველ მთარგმნელებსაც... ბერძნულ ენაშივე ტერმინთა პოლისემია და გაურკვევლობა, ხშირად ანტიკური ფილოსოფიური ტერმინების სხვადასხვაგვარი (ზოგჯერ სრულიად ურთიერთსაპირისპირო) გაგება ქრისტიანულ დოგმატიკაში ხშირად მწვალებლობის მიზეზი და ცხარე საეკლესიო დისკუსიების საბაზი ხდებოდა (საკმარისია დავასახელოთ  $\sigma\sigma\tau\alpha$  არსება და  $\sigma\alpha\sigma\tau\alpha\sigma\tau\epsilon$  „გუამი, პირი“).

მაგრამ არც ერთ ენაში არ არის მზამზარეულად მოცემული ფილოსოფიურ ცნებათა ამსახველი ტერმინები, მაგრამ სხვადასხვა ენებში არსებობს სიტყვანარმოების ისტორიულად შემუშავებული წესები თუ სტრუქტურები და ყალიბები, რომელთა შემოქმედებითი გამოყენებითაც შეიძლება ენის ლექსიკური მარაგის უსასრულოდ გამდიდრება. საჭირო ფილოსოფიური ტერმინოლოგია იქმნება ფილოსოფიური აზროვნების, საერთოდ, მეცნიერული საქმიანობის განვითარების შესაბამისად, ამა თუ იმ ენაში არსებული მეტ-ნაკლებად მდიდარი სიტყვანარმოებითი რესურსების გამოყენებით და, ამავე დროს, სხვა, ამ მხრივ განვითარებულ ენებთან კონტაქტების გზით.

ძველი ქართული მეცნიერული ენის ჩამოყალიბების გზაზე, მისი სისტემური დამუშავების პროცესში გზის მაჩვენებელი ნიმუში, იოანე პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გონიერთა ხედვათა მომმარჯვი“ ბერძნული ენა იყო, რომლის ცნებითი აპარატი საუკუნეების განმავლობაში მუშავდებოდა ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსებისა და მათი ბიზანტიელი კომენტატორების მიერ. გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში, შუა საუკუნეების აზროვნებისა და განათლების ტიპიურ კერაში, „სასწავლებელში ყრმათათვის“, რომელშიც „მრავალი ქართველი

განისწავლებოდა სიბრძნისმოყუარებასა შინა“, მიმდინარეობდა ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული ეგზეგეტიკის ინტენსიური ათვისება-დამუშავება და თარგმნა-კომენტირება. ამას აუცილებლობით მოჰყვა ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სპეციალური, სისტემური დამუშავება, რამაც, თავის მხრივ, XII-XIII საუკუნეებში ქართული ფილოსოფიური აზროვნება უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ამ მხრივ გელათის თეოლოგიურ-ლიტერატურული სკოლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ქართული ფილოსოფიური აზრისა და, შესაბამისად, ფილოსოფიური ენის – ტერმინოლოგიის განვითარების გზაზე.

მართალია, ამ სკოლაში შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული ფილოსოფიური ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ენა და სტილი, საფუძველი დაედო ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკურ სისტემატიზაციას, მაგრამ ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა მაინც დიდ ათონელ მოღვაწეს, **გიორგი მთაწმიდელს** მოუხდა. გიორგი მთაწმიდლის თარგმანების ადრინდელ თარგმანებთან შედარებისას ნათელი ხდება ის დიდი წვლილი, რომელიც XI საუკუნის ამ გამოჩენილმა ათონელმა მოღვაწემ შეიტანა ქართული ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში [შალამბერიძე ნ., 1970] მაშინ, როცა ძველ ქართულ თარგმანებში რომელიმე ცნება ხშირად მთელი შესიტყვებითაა ხოლმე გადმოცემული, გიორგი მთაწმიდელი აწარმოებს ბერძნული ტერმინის შესატყვის კალკირებულ კომპოზიტს: მაგ. „ექუსთა დღეთა“-ს უძველესი თარგმანი: *თვთ იგი არს ბოროტი* (32, 29) – გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: *თვთშოროტი* (18, 34), უძველესი: *მშობელი თავისა თვისსა* (32,26) – გ. მთაწმ.: *თვთშობილი* (18, 30) – ბერძნ. *αυτογενετος/αυτογενής*

ტერმინთა საწარმოებლად გიორგი მთაწმიდელი ხშირად იყენებს ბრუნვის ფორმანტებს დერივაციული აფიქსების ფუნქციით. ჩვეულებრივ, ასეთებად მოქმედებითი (-*ით*) და (-*ად*) ბრუნვის ფორმატებია გამოყენებული, რაც დღესაც გავრცელებული საშუალებაა სამეცნიერო ტერმინთა წარმოებისას: *გონებითი ხედვა*, *ბუნებითი საკუთრება*, *ბუნებითი მიზეზი*, *ცვალებითი მოძრაობა*, *ხედვითი*, *გრძნობითი*, *გონებითი*, *ზოგებითი*, *დაბადებადი*, *ტანჯვადი*, *ყოფადი*, *ქცევადი* და *ცვალებადი*, *განხრწადი*, *ცხოვრებადი*...

ძველი ქართული თარგმანის პირიანი ზმნის სანაცვლოდ გიორგი მთაწმიდელი აწარმოებს ტერმინ-სუბსტანტივს ვითარებითი ბრუნვის ფორმანტის საშუალებით (მომავალი დროის ე. წ. შესაძლებლობის მიმღეობა): *რომელნიმე განშიშულდიან* (ექუსთა უძვ. 75,38) // *რომელნიმე განშიშულებადნი* [გ. მთაწმ. 62, 10].

შედარებით ძველ თარგმანთან, აქ გახშირებულია აბსტრაქტულ სახელთა –*ობა* –*ება* სუფიქსის სხვადასხვა ფუძეებთან ხმარება. აღსანიშნავია,

რომ გიორგი მთანმიდელთან აბსტრაქტულ სახელთა მანარმოებლად **-ება** სუფიქსია პროდუქტიული, თუმცა იგი **-ობა** სუფიქსსაც იყენებს: *კაცება, ტომება, თესლოვანება, ფეროვნება, ცხოველება, თვთოფერება, ზოგადება, მარტივება, ორება, წმეანობა, დედაკაცობა, მოქალაქეობა*. მიმდებარეობათაგან კი მოქმედების აბსტრაქტულ სახელებს (*substantiva abstracta actionis*), ჩვეულებრივ, **-ობა** სუფიქსით ანარმოებს: *მცურვალობა, მპარავობა, ჟამთმცნობელობა, ჟამთმსტოვარობა, მოზარდობა, უძრობა, უქცეველობა...*

ახალ ტერმინთა წარმოებისას გიორგი მთანმიდელს ხშირად უხდება ამოსვლა ბერძნული ტერმინის აგებულებიდან: იყენებს რა ქართული სიტყვანარმოების ფართო შესაძლებლობებს, იგი ცდილობს ზუსტად გადმოსცეს ბერძნული ტერმინის ცნებითი შინაარსი. ტერმინთა შექმნა კალკირების გზით ძირითადად რთულ სიტყვებზე, კომპოზიტებზე მოდის: *πολυμερής – მრავალწინილი; წინააღდგომა (ἀντιτυπία); თვითმობილი (αὐτογενής); ასევე: წინაკერძონი, ზედადგომილი, თანაშემწე, გარემომცველი და სხვ.*

გიორგი მთანმიდელი ტერმინს უთარგმნელად ტოვებს იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი ქართული სიტყვა ზუსტად ვერ გადმოსცემს ბერძნულის მნიშვნელობას; ან მაშინ, როცა მას ტერმინოლოგიური ღირებულება არა აქვს, რადგანაც იგი სალაპარაკო ენაში განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება: *ვითარმედ წმაჲ იგი გამოვალს ჭურჭლისაგან მჭმობარისა [„ექუსთა“, უძვ. 37, 26]; მჭმობარისა ორღანოესაგან გამომავალსა წმასა [„ექუსთა“ გ. მთან. 23, 32-33].*

საერთოდ, გიორგი მთანმიდლისეულ თარგმანებში, უძველესი ქართული თარგმანებისაგან განსხვავებით, აშკარად იგრძნობა ბერძნული დედნის გავლენა ტერმინთა წარმოებასა და კომპოზიციასში. ამასთან, არ უნდა დაგვაინყდეს ძველი ქართული თარგმანების (რომლებიც, როგორც ილია აბულაძე ფიქრობს, VIII-IX საუკუნეებში ჩანს შესრულებული პალესტინაში [„ექუსთა“, უძვ. გვ. 12]) დიდი ღირსებებიც და ის დიდი დახმარება, რომელიც მათ მართლაც გაუწიეს გიორგი მთანმიდელს ამ ძველთა ხელახალი თარგმნის პროცესში (პირველ მთარგმნელთა ამ დამსახურებას, როგორც ვნახეთ, თვითონ გიორგი მთანმიდელი აღნიშნავს „ექუსთა დღეთას“ თარგმანის ანდერძში: *„ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ჴელი აღმიპყრნესო“*).

ფილოსოფიური და თეოლოგიური ხასიათის თარგმანთა მომრავლებასთან ერთად თანდათან იზრდება მოთხოვნილება ტერმინთა უფრო დაზუსტებისა და შესაბამისად, მდიდრდება ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიაც. იგი განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და არეოპაგიტული კორპუსის ეფრემ მცირისეულ თარგმანებში. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეფრემ მცირე ტერმინთა ზუსტ თარგმნას, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი საჭიროდ თვლიდა თარგმანის კიდებზე სიტყვათა „განსაზღვრება-განჩინებების“ დართვას,

რათა მკითხველს ადვილად ეპოვნა საჭირო სიტყვა-ტერმინი [დამასკელი, „დიალექტიკა“, წინასიტყ. 1976: 68].

ეფრემ მცირე მარჯვედ იყენებს ქართული ენის სიტყვანარმოებითი ხელოვნების შესაძლებლობებს. იგი მეტად აფართოებს აბსტრაქტულ სახელთა მანარმოებელი –**ობა** სუფიქსის გავრცელების არეს: ამ სუფიქსს ურთავს ნებისმიერ ფუძეს, როცა ამას გარკვეული ცნების გამოხატვის საჭიროება მოითხოვს. გარდა არსებითი და რიცხვითი სახელებისა, ამ სუფიქსს ურთავს მიმღებებს, ნაცვალსახელებს, წარმოქმნილ ფუძეებსა და კომპოზიტებს: *რომელობა, სხუებრობა, ყოვლობა, მასვეობა, იგივეობა, მათგანვეობა, კერძობა, ეგრეთვეობა, მოდასეობა, დიდნიჭობა, მიმღებელობა, მისაღებელობა, უმოქენეობა, მიუდრეკელობა, გამოუძიებლობა, გამომძიებელობითობა, მშობელობა, თვთმპყრობელობა, აღმყვანებელობა, მომცემელობა, მლტოლვარეობა, ქუემხედველობა, მდგომობა, ქცევადობა, გამოცხადებადობა, ორცხოველობა, პირმშოთსახეობა და სხვ.*

ასევე იგი ააქტივების **-ით** და **-ად** ბრუნვის ფორმანტიან დერივაციას:

**-ით:** *მოკლებითი, სიმტკიცითი, კანკლედობითი, მსგავსებითი, ნერგობითი, მოზარდობითი, სილალითი, კადნიერებითი, ზომიერებითი, წინააღრჩევითი, გრძნობადობითი, ჭეშმარიტებითი, ბუნებითი, ღირსებითი, სარკითი და იგავითი, ხედვითი და საქმითი და სხვ.*

**-ად:** *განღმრთობადი, განათლებადი, სრულყოფადი, განტფობადი, ქმნადი, განჯრწნადი, გრძნობადი, ჟამიერადი, შემთხუევადი, განქარვებადი, დაცხრომადი, დადგრომადი, გამოცხადებადი და სხვ.*

პროდუქტიულია მასთან თანდებულისანი დერივაციაც:

**-გან:** *არსთავანი, კეთილისავანი, მყოფთავანი, მიზეზისავანი.*

**მიერ:** *არსთამიერი, მცნებათამიერი, საჭმელთამიერი, დუმილისმიერი.*

**მიმართ, მომართ:** *ღმრთისამიმართი, ჩუენდამიმართი და სხვ.*

ტერმინთა წარმოება ზმნის პირიანი ფორმების გასუბსტანტივებით: **იყოფ და არსი და იყოსი და იქმნაფ და იქმნებისი და იქმნესი** – *მისთვის საკუთრებით იგალობებიან* (არეოპაგ. 64, 1-3).

აქტიურია აგრეთვე წინდებულისანი და ზმნისართიანი კომპოზიციის ტიპი: *თანაზიარება, თანასამარადისო, თანალმობა, თანამბრძოლი, თანადამოკიდებულება, თანამოდასე, ქუემეთრევი, ზედამდგომელობა, წინააღრჩევითი, წინააღმდგომი, წინამოგონებადი, ზემთაუცნაური, ზემთასაჩინო, ზემთაცნობა, ზემთასახიერი.*

**თვთ** ნაცვალსახელიანი: *თვთცხოველყოფა, თვთმსგავსება, თვთმფლობელობა, თვთველმნიფება, თვთმოძრაობა, თვთსიბოროტე, თვთძალი, თვთხრწნილება, თვთსრული და სხვ.*

ამგვარად, ქართული სპეციალური ტერმინოლოგია თანდათან ყალიბდება ბერძნული ენიდან საღმრთო წერილისა თუ ქრისტიანული ეზეგეტიკური და დოგმატურ-პოლემიკური და თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ხასიათის თხზულებების თარგმნის პროცესში.